

# ԿՈՒՆԱԿԱՆ





I შეთქმულობა სურათი . . . . .	2
II წინოს დღეობა ლექსი შიო მღვიმელისა . . . . .	3
III სპილოს სიკეთე ახსოვს? . . . . .	5
IV ორი ნიშა ეკ. გაბაშვილისა . . . . .	6
V მურიას ოსტატობა (პოლონურით) ბაგრატ ბე- თანელისა . . . . .	8
VI კოწო და მისი ნაცნობები ან. წერეთლისა . . . . .	11
VII ზამთარს ლექსი ბაგრატ ბეთანელისა . . . . .	17
VIII ნატვრის თვალთ ზღაპარი გ. დ. ქრელაშვილისა. . . . .	18
IX საახალწლო ხუმრობა ეკ. გაბაშვილისა . . . . .	25
X წვრილმანი: ანდაზები, აკროსტიხი, გამოცანა, რებუსი და ახსნა . . . . .	27
—	
XI საახალწლო მილოცვა ლექსი ი. სიხარულიძისა. . . . .	29
XII ორი შეგობარი ივანე გომართლისა . . . . .	30
XIII სიმღერა ქუჩისშვილისა ლექსი ხ. ვარდოშვილისა . . . . .	36
XIV ქარიშხალი ცკვიტისა . . . . .	37
XV აოხრებული კერა (თარგმანი) სადიკოსი . . . . .	41
XVI საპნის ბურთი (ზღაპრული ამბავი) იტა ნაკა- შიძისა . . . . .	44
XVII რა შთაბეჭდილებას ახდენს მუსიკა სხვა და სხვა პირუტყვებზე ეკ. მესხი . . . . .	47
XVIII გველეშაპი გორგონის თავი . . . . .	49

მიიღება ხელის მოწერა

**ჯ ე ჯ ი ლ ზ ე**

1917 წლისა

ოცდა მერვე წელიწადი

897-462-1705

4-40



# საქმეწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო!..

ი. დ.

1109

იანვარი, 1917 წ.

◆ წ ე ლ ი წ ა რ დ ი მ ე ო ც რ ა რ ვ ე ◆

ქართლის	924
თბილისის	1133
ქუთაისის	
გორის	
სამცხის	
საქართველოს	9186.5

FZ57

თბილისი

სტამბა „ქართლი“, პუშკინის ქუჩა, ძველი სემინარიის შენობა № 1.

1917





შეთქმულაბა

## ნინოს ღვთობა.

(ნინო ნათიძეს, შელანას შვილიშვილს)



ბა მე დიდ ნინოებთან  
 სელი როგორ გამეშლება,  
 თუ რაზე მაქვს სათამაშო  
 მანამდისინ დამეშლება.

მოდი მე ჩემ დღესასწაულს  
 გადავიხდი ახალწელსა,  
 შარშანაც სომ ასე იყო,  
 როცა ვისტუმრებდით ძველსა.

მართლაც ნინომ ნინობა  
 შედ ახალწელს გადისადა,  
 თუ რომ ჭქონდა ტკბილეული  
 ეველა ერთად დაამსადა.

ნაძვის ხეც კი ისე მორთო,  
 დანტკებებოდა ავი თვალი,  
 ამ დასაქცევს აკლდა მხოლოთ  
 მუშხუნის და სანთლის ალი.

დაუძახა ნაცნობს, უცნობს,  
 ქალს და ვაჟებს—თავის ორლებს,  
 სანამ მოვლენ მერცხალს გული  
 უტოკავს და უხოხქოლებს.

შეიკრიბა სტუმრეულიც,  
 გაიძრთა დიდი ღვინი,  
 ცუგროაც კი მათთან იყო  
 მასხარა და დასაცინი.

ნინოს ხელით ნაძვის სის ქვეშ  
 დაბობლავდა დათვის ბელი,  
 ისიც ისე იქცეოდა,  
 როგორც კბი მახლობელი.

რაღა თავი შეგაწეინოთ,  
 რაღა ბევრი აგიწეოთ,  
 თითქმის მეც კი მომამსადეს  
 საღვინოთ და სასიძღვროთ.

ზო მღვიმელი




## სვილოს სიკეთე ახსოვს!



რთ ქალაქში ჰატრონს სწი-  
ლო ეოველ დღე სამუშაოთ  
დაჭეადა, მანლობელ ტეიდან  
სეებს ასიდვინებდა. ბასარში  
გავლის დროს ერთი მწვანე-  
ლით მოვაჭრე დედაკაცი ეო-  
ველთუის აძლედა სწილოს  
სან ვაშლს, სან სტაფილოს.  
ეტეობოდა სწილო ნასინამოვ-  
ნები რჩებოდა.

ჰატრონი სწილოს გადაჭარბებით ამუშავედა. ერთ-  
სეულ სწილო ვაბრანდა და ვამოექცა. ღრიალით ვარბო-  
და ბასრისკენ, ხორთუმი აეწია ძაღლა და ეველა-  
ფერს ამტვრევადა, რაც კი ვსაზე შესვდებოდა: მოვაჭ-  
რეებს ძაკიდებს ძირს უყრიდა. სალსი შიშით ვარ-  
ბოდა. მწვანელით მოვაჭრე დედაკაცმაც მოჭკურცხლა  
და სინქარით მიატოვა თავისი ჰატრონ გოგონა. ჰა-  
წია გოგონა ჩამოვარდა სკამიდან და მოჭევა სმა ძაღ-  
ლა ტირილს, სწილო მიუხსლოვდა მეწვანელიის დუ-  
ქანს და მაშინ მოავინდა მისი ჰატრონის სიკეთე,  
გონს მოვიდა, მიხსედ-მოიხსედა და დანახა ძირს  
მტირალე გოგონა. ფრთხილათ ასწია და დასვა სკამ-  
ზედ, მერე დამძვიდებული ვასწია თავის ბინისკენ.

## მ რ ი ნ ი შ ა .



დღეს მესამე დღეა რაც ჩვენ ძროხას ნიშა  
 დაებადა ღის ნახირში გააგდეს. ჰატარა ნიშა  
 საშინლათ ჰგავს თავის დედას, იმისავით  
 მთლათ წითელია, მხოლოდ შუბლზედ  
 ვარსკვლავით თეთრი ნიშანი აქვს და მარცხენა ფეხ-  
 ზედა ამისთანავე თეთრი ნიშანი. რომ იცოდეთ რა  
 მშენებელი დიდი, ლამაზი შავი თვალები აქვს ჰატა-  
 რას? მხოლოდ დღეს ძრიელ დაღონებულა, უთუოთ  
 იმიტომ, რომ დედას დღეს ჰირველათ მოაშორეს.

მე და ჩემი ძმა ნიკო სულ თავს ვეკლებით, მათ-  
 ლაფით რქე დაუდგით, მწვანე ხასხასი ბალახი  
 მოუკლიჯეთ, მაგრამ ზედ არაფერს უყურებს, ჩვენი  
 ბროლიაც თავს დასტრიალებს, სტის, ჰეფავს, ეხუძ-  
 რება. ნიშა ფეხებ შეკეცილი ზის ძირს გამდიდრ თი-  
 ვაზედ და გაჩუმებულია, დაღონებული.

უცებ ძროხის ბღავილი მოისმა, ჯერ შორიდან  
 და მერე ფეხების თქარათქურთან ბღავილიც უფრო  
 მოახლოვდა. ჰატარა ნიშა სწრაფათ ფეხზედ წამოხტა,  
 კისერი ლამაზად მოიკრინა და ხმა მისცა დედას,  
 რომელიც ეხომი საჩქაროთ შემოიჭრა და თავის ჰა-

ტარას ალერსით ლოკვა დაუწეო, ჰატარა კი სიამოვნებით ბზუის, თავს ხან აქეთ გადაუღებს დედას საკოცნელათ და ხან იქით.

— უი ჩემ თვალებს! ასე ადრე ნახირიდან რამ მოიუვანა ეს ცეტი! შეჭვივირა ქეთევანამ, როდესაც ძროხა დაინახა და მაშინვე ჯიქნსეღ შესედა.

ჯიქანი კი ნიძას გატიკნილი ჰქონდა და მუტუებიდან რძე წვეთ-წვეთად ექცეოდა.

ქეთევანა სჩქაროთ სასლში შევიდა, წელთ საუსე საწველელი ორ ეურა ქოთანი გამოიტანა და ხბოს ეურში ხელი წაავლო და დედის მუტუებს შეუეენა. მაგრამ მხოლოდ ერთი ორი ჰირი მოასმევიანა და ისევ მოაძორა. მერე საწველელიდან მუჭით წებალი ამოიღო, ნიძას მუტუები რამდენჯერმე ჩამობანა და დაუწეო წველა. რძე წერიალთ ჩადიოდა საწველელში. ძროხა გარინდებული იდგა, თითქო სიამოვნებდა რა სწველიდენ. ჩვენ ჰირდაღებულები შევცქეროდით, ბროლიაც კი, მოუსვენარი ბროლია, ჩუბათ იჯდა უკანა ფეხებზედ.

როდის, როდის ქეთევანამ წველა გაათავა და ჰატარა ნიძა კვლავ მიუძეა დედას მუტუებზედ. ოჰ, რომ გენახათ იმისი სისარული, სიცელქე, სულ კუნტრუშებდა, თავს უტეანუნებდა დედას ჯიქანსეღ და თან ჰირიდან ხარბათ ნაწოკი რძე ქაფქაფით გადმოსდიოდა. დედა კი მოთმინებით იდგა და თავის ჰაწაწას სიკიქისთვის არ უჯავრდებოდა.

## მურიას ოსტატოვა.

(ზოლანური)



რთი უახსბის ოჯახში სცხოვრობ-  
 დენ მურია და ციცუნია. ამათ  
 ერთმანერთი ძან უეუარდათ;  
 მუდამ ერთად ჰხტოდენ, ცელ-  
 ქობდენ, თამაშობდენ; ერთი სი-  
 ტუვით, ჭირსაც და ლხინსაც  
 ერთად იყოფდენ.

ასე ტკბილათ ატარებდა დროს  
 ეს ორი მეგობარი, მაგრამ სომ  
 გაგიკონიათ—ბედნიერებას უბედურობაც მოსდევს.  
 ამბოაც ასე დაემართათ და თავს დიდი უბედურება  
 დაატუდათ.

ერთხელ ციცას ღმერთი გაუწერა, მსუნაგობამ  
 წასძლია, ჰატრონს დიდი ხორცის ნაჭერი მოჰპარა  
 და გადასანსლა.

უახსბმა გაუგო და ძალიან გაგულისდა. კატა  
 დაიჭირა და ცემა დაუწყო:

— აი შე წუწკო, შე არამხადავ! შე შენ გიჩვენებ  
 სეირსა!

კატა საცოდავათ ენავოდა. ამ დროს მურიაც აქ-

ვე იღვა და სიმწრით გული სწედებოდა, ციცუნია ებრალებოდა.

ეხსანება რომ ცემით გული იჯერა, კატა ხელში აიუვანა და მდინარისაკენ გასწია. მურიამ გაიგო, რომ ციცუნას კაი დღე არ დაადგებო და უკან გაქევა.

მიდის ეხსანბი და იძას ფეს და ფეს მურიას მის-  
 დევს თვალ-ცრემლიანი, გულდაწვევტილი. ბარემ ძა-  
 ლიანაც უნდა, რომ ამხანავს როგორმე უშველოს,  
 მაგრამ რა უნდა ქენას? ზატრონს წინააღმდეგობას სომ  
 ვერ გაუწევს...

აი ქალაქის გარეთ კიდევ გავიდენ და მდინარე-  
 რესაც მიუახლოვდენ. ადიდებული მდინარე მსუილით  
 მოქექს და ზვირთს ზვირთსე ისვრის. ეხსანბმა მდი-  
 ნარის ძაღლობი ნაპირი აირჩია.

— ახლაც მოიპარე სორცი, შე არამსადავ! —  
 სთქვა იმან გაჯავრებით და კატა შიგ შუა მდინარე-  
 ში გადასტეორცნა.

— ჭეან! — დაიჭეანუნა წყალმა და კატა ზვირ-  
 თებმა მოიტაცა.

მურიამ რომ ეს დაინახა, იმ წამსვე მდინარეში  
 გადაეშვა, თავის ამხანავ-ციცუნიას პირი წააყლო და  
 ცურვით ნაპირს გამოიეფანა.

ეხსანბს უფრო გული მოუვიდა, გაბრახდა. მას  
 სრულიათაც არ შეეცოდა, რომ ნაცემ-ნატევი ციცუ-  
 ნია სიცივისგან და შიშისგან სულ თასთახებდა.

— ახლაც თუ გამოგიეფანებენ, მაშინ დაიკვესე! —  
 სთქვა იმან, კატას ბაწრით ეელსე დიდი ქვა გამოა-  
 ბა და ისე გადასროლა მდინარეში.

— ჭეპან!—ხელ ახლათ დაიჭეპანუნა წუელმა.

— უან, უან!—ისრჩობა კატა.

მურია იმაჲ წამს კიდევ ჩასტა მდინარეში, ჩაი-  
 უურუეუძელაჲ, ბაწარი გადადრინა, ამ რიგათ ეელზე  
 გამობშული ქვა მოსწუვიტა ციცუნისა და მეორე ნა-  
 ჳირას გაიფანა.

უასაბმა ბარემ ბევრიც იჯავრა, მავრამ რაღას  
 გასდებოდა! მდინარე საშინლათ ადიდებული იყო და  
 მეორე ნაწირას ველარ გაჴიდოდა.

ბავრატ ბეთანელი





## კოწო და მისი ნაცნობები.



ემო კოწო, აი კიდევ ვაგაგნობ  
კატის ჯიშის ერთ ცხოველს—  
სასეღდობრ ლომს.

ის ისე ძალიან არა გავს  
ჩვენ შინაურ კატას, როგორც  
ვეფხვი და ჯიქი. დინგი მოგმო  
აქვს, სსეული მოკლე, ხვად ლომს თავს და კისერს  
გარშემო და გულზე ბაღანი ასწია, ლამაზი ფაფა-  
რის მინაგვანი. ლომი ძალიან ღონიერია, თითქმის  
ვეფხვადაც, მას ეძახიან ჰირუტეუთა შეფეს, რადგან  
გულოვანი და კეთილშობილია.

მე მოგიყვები თუ როგორ ცხოვრობს თავის სამ-  
შობლოში, ცხელ ქვეყანაში, — აფრიკაში, ეს შეფე ჰი-  
რუტეუებისა.

ცხელი დღვა, მზე მადლიდან ასურებს, გარ-  
 შემო აუტანელი სიცხვა, ვეელაფერს წვაუს. ხშირ  
 ტეეში მაიმუნები დასტიან ხეებზე, სხვა და სხვა  
 ფრინველები გაჭკივიან, ვეებერთელა გველი მისრია-  
 ლებს, მხეზე ბრწინამს მისი ქერქი, ჩქარობს მი-  
 ძალოს ხშირ ბაღახებში. ერთ დიდ ბუჩქში ვეი-  
 თელი ცხოველი წევს, იქ ერთი კი არა—ორია, ეს  
 სხადი და ძუ ლომია. ისინი დღით ისვენებენ, იმათ  
 არ უეუართ სიცხეში ნადირობა.

ლომი დგება და ხელა, ხელა მიდის ტეის განა-  
 ზირას, იქ მადლობი კლდიანი გორაკია, ლომი წეება  
 ამ კლდეზე, მის მირს ველ-მინდორია და მინდორზე  
 მიიკლაკნება მდინარე, შორიდან მოჩანს ალაჩუნები  
 მთა ბარის ხალხისა. აი ბაკეც მოჩანს, სადაც ღამ-  
 ღამობით შელაღამენ საქონელს, კარგა სიმორეზე  
 ხედაუს ლომი შინაური საქონლის ნახირს: ცხურებს,  
 თხებს, ძროხებს, ხარებს, სულ შორს, შორს მირბიან  
 გარეული ანტილოპები. ამ მდინარესთან თავს იურიან  
 საღამობით წელის დასადევათ შინაური და გარეუ-  
 ლი ცხოველები. ბილიკებიც კი მოჩანს იმათი ფე-  
 ხით გათელილი.

ლომი დამშვიდებული წევს და უდარდელათ გაჭ-  
 ეურებს ვაკეს, თითქოს თვალში არა მოსდის რა, ის  
 კი არა რომ, ათვალთვალებს იმ ადგილებს, სადაც  
 მოუსდება ნადირობა.

ესლა ის გამძღარი. არ უნდა ადგილიდან დამე-  
 რა, ის მხეზე წარმაცათ ნებივრობს, გულ-კეთილია,

არ უნდა ესლავე დატანჯოს და გაკლიჯოს  
 ტყვი.

ამ ბრეკ ქვეშ, ისე ახლოს, რომ ერთი ნახტომითაც კი მიასწევს—სედავს მგსაურს, მგსაური ზის აქლემსე, დამშვიდებული მიდის, ეჭვი არ აქვს რომ საფრთხე მოელოდეს, თეთრი წამოსასხამი ასხია, თავი მწვანე ფარჩის ნაჭრით აქვს გაკრული, მსრებზე თეთრი თმები აურიან, თოფი მხარზე უდევს, და სთვლემს, თან კვსე ირხევა, უცბათ მისი აქლემი აღლოს იღებს, თრთოლავს, წინ იწევა, მოხუცებული თოფს იმარჯვებს, აქეთ-იქით იეურება, და სედავს, რომ ბრეკსე წევს ვეება ლომი. კაცი და ზირუტევი ერთ წამს ერთმანეთს შესედვენ, მოხუცებული ჩუმათ ლოცულობს, ჰკონია სიკვდილის ქამი დაუდგა, მაგრამ ლომი მშვიდათ წევს. მოხუცებული კუდს აკვირდება, თუ ლომი მშიერია, კუდს ფერდებზე ირტეავს, მაგრამ ამ საშინელი მხეცის კუდი ესლა არ იმგრის, მაშინ მოხუცი მოხვენებით ამოისუნთქავს და აქლემს წინ გაიგდებს, აქლემიც კისერს წინ წაიწევს და რაც ძალი და ღონე აქვს გაჰკურცხლავს, ლომი კი დამშვიდებით შესცქერის მიძავალ მხედარს და მის აქლემს. მოხუცებული იქვე ახლო ალახუსში ცსოვრობს, იმან ალახის მადლით მშვიდობით მიასწია თავის ბინას და მოუევა თავის შვილიშვილებს ამბავს:

—ამე ვნახე ლომი, ჩემო ზაწიებო, ზირუტევიების მეფე ჩემი თვალთ დავინახე, ის წამოწოლილიყო ბრეკსე, ამაყად შემოდცქეროდა. შევხედე, ის არ იცემდა თავის მძლავრ კუდს ფერდებზე, ზირუტევთა მეფე



არ შექმნო, ის ამაყი და მედიდურია, ვერაღი ჯიქი  
 საყით არ დაეცემა ეოველ სუფიერს.”

ნელის ბიჯით შორდება ლომი ბრეკს, წვება ძე  
 ლომთან გვერდით და დაიბინებს.

აი ბარში ძხუც ჩადის, მწუქმსებმა თხები, ცხვრე-  
 ბი და ძროხები დააბინავეს ბაკეში, რომელიც შემო-  
 ღობილი აქვსთ ეკლიანი შტოებით, ცხვრები ბლა-  
 ვილით ეძებენ თავიანთ ბატენებს, მოწვევლილი ძრო-  
 ხები მოსვენებას ეძლევიან, ძაღლები გარშემო ამით  
 უდარაჯებენ, დედაკაცებს და ემაწვილებს ალახულებში  
 სძინავთ, სიჩუძე და სიმშვიდე სუფევს ეველგან, ძაღ-  
 ლებიც კი არ სმაურობენ.

ტეეშიაც სიჩუძეა, სმაურობა არა მოისძის რა,  
 ეველას სთვლემსთ, მხოლოთ გარეული მსეცები მიი-  
 ზარებიან დაულისკენ, აი მოისძის აფთრის დძუილი,  
 ჯიქიც ღრინავს, ლომიც იღვიძებს, სარმაცათ დგება,  
 ისმორება, შიმშილს გრძნობს, ფერდებზე კუღს აფარ-  
 თსუნებს.

უცბათ დაიდრიალა, თითქოს ქუსსო ისე მოის-  
 ძის მისი ბრდღვინვა, ერთ წამს ეველა მიჩუძდა. სა-  
 ძარისებური წამი დადგა, ჩაჩუძდა აფთარი, აღარ  
 ღრინავს ჯიქი, გამოღვიძებული ზირუტეეები ძრისსანე  
 სძას ელდანაკრავივით უგდებენ ეურს, აი ატედა სა-  
 შინელი არეულობა, მაიმუნებმა შექნეს ევირილი და  
 აცოცდენ სეების წვეროებზე, მიძავალი ანტილოპის  
 ჯოკმა შიშით და სის ტოტების ძტვრევით სშირი  
 ტეე გაირბინეს, ბაკეებში ცხვრები გადარეულებივით  
 ერთმანეთს ეცემოდენ და ეკლიან ღობეს ეგვროდენ:

თსები ბღაჳიან, ძროსები კუნესით, სროჳათ იკრიბუ-  
 ბიან. აქლეძი თოკს სწევეტს, რომლითაც მიბშულია,  
 გულადი ძაღლებიც, როცა შუდამ აფთრებს და ჯიქებს  
 ესმებიან, ესლა საცოდაჳათ ეკვრიან თავის ჰატრონს.  
 საქონლის ჰატრონსაც დიდი ხანია არა სძინაჳს და  
 თავის კარაჳში შიძით კანკალებს.

სედაჳთ რა ამაჳათ და გაბედულათ შიღის ლომი  
 აღამიანის ბინასთან! ერთი ნახტომით ღობეს გადა-  
 ევლებს, მძლავრი თათით წააქცეჳს სოლმე მოსჳერს.  
 საშინელი ნადირი ერთ ღმუის თავის მსხჳერზლსე  
 მწოლარე, თვალები უბრწუნაჳს, გაძმაგებული კუდს  
 ჭაერში იქნეჳს. მოსჳერი აღარ იმგრის, მკუდარია,  
 მაშინ ლომი იტაცებს თავის ბასრი კბილებით მსხ-  
 ვერზლს და სულ ადჳილათ გადაეკლებს ღობეს და  
 შიეშურება თავის ბინისკენ. იქ შუ ლომი უცდის,  
 მოსჳერს წინ უღებს და შუ ლომი კმაეოფილი ბურ-  
 ტუნით შეეცეჳა საკბილოს. ლომი უცდის მის გამ-  
 დომას და შემდეგ თითონ შეეცეჳა. ამის შემდეგ რო-  
 გორ არა თქჳას კაცმა, რომ ლომი თუძცა სისხლის  
 მწეურჳალება, მაგრამ მასთან უკეთილშობილესი ცხო-  
 ველია, არც ერთი კატა თავის მეგობარს ასე არ  
 მოექცეჳა, «ღრუტუნაც» კი არ დაუთმობდა ციცუნის  
 თაგუნებს და ჩიტებს, ეჳელაფერს თითონ ჩაჭულა-  
 ჰაჳს თავის სადღეგრძელოთ. არც ეჳუსი, არც ჯიქი  
 არ ღრიალებენ, როცა სანადიროთ შიღიან ისე, რო-  
 გორც ლომი. თითქოს გრძნობს, რომ ძაღაა მასში,  
 თითქოს ამბობს, რომ ვისაც არ გეშინიათ შემე-



ბრძოლეთო, მაგრამ კაცსაცა და ნადირსაც <sup>ქართული</sup> <sub>ნაწილი</sub> ეძინათ.

ეი ძუ ლომს ევოლას შვილები, ესენი ძალიან ღამაშები არიან, ბრძეები არ იყვენ, მაგრამ ვერ დადიოდენ, უშნოთ ცოცხადენ, ძუ ლომი ალერსით სრუნავდა, ლოკავდა, ათობდა თავის სსეულით ცივ ღამეში, კვებავდა რძით, არ შორდებოდა ჰირველ ხანებში, საჭმელს სვადი ლომი უზიდავდა. ორი თვის განმავლობაში ლეკვებმა ისწავლეს სიარული და ხორცის ჭამასაც შეეჩვიენ, დედა მოტანილ დაულას უყოფდა მათ, ლეკვები კარგათ ცხოვრობდენ, მსიარულათ თამაშობდენ, ეირამლას გადდიოდენ, ერთმანეთს ებრძოდენ, დედას ეალერსებოდენ, საჭმელი ეოველთვის ბლომით ჭქონდათ, ძამას საკმაოთ მოჭქონდა დაულა; როდესაც ლეკვები მოისარდენ დედამას მიჭეავდათ სანადიროთ ბუნაკის მახლობლათ. ლეკვები სწავლობდენ, როგორ უნდა უთვალთვალონ ნადირს და ერთი ნასტომით დასცენ ისინი ძირს, რა საკვირველია ისინი თავდაპირველათ დაეცემოდენ სოლმე ჰატარა ნადირებს. ალაჩუსებში მცხოვრებნი ხალხი ძალიან ემდუროდენ ლომებს, შვილების გამოსაკვებათ ბევრი ჰირუტყენი იმსხვერპლეს. ლეკვებს ძალიან კარგი მადა ჭქონდათ.

ხალხს არ შეემლოთ ისეთი მძალდი და მაგარი ბაკეები გაეკეთებინათ, რომ შინაური ჰირუტყენი გადაერჩინათ ლომის ბრჭყალებისაგან, მაშინ მოსუცმა, თემის უფროსმა, რომელსაც თავი მწვანე აბრეშუმით ქონდა შეკრული, შეჭეარა ხალხი და გამოუცხადა:

(შემდეგი იქნება.)

# ზ ა მ თ ა რ ს.



ას გვეძრთლები, ზამთარო,  
 რათ გვსუსსავ უინვა-სიცივით?  
 რათა სარ ეგრე უგულო  
 შეუბრალებელ მსეცივით?

განა არ იცი, რომ გვცივს,  
 შემა ცოტა გვაქვს სახლშია,  
 ტანისამოსიც გაგვიცვდა,  
 ველარ გავსულვართ კარშია.

მამა ომში გვეავს წასული,  
 დედა გაგვისდა ავათა,  
 ბუნარში ცეცხლი ჩაგვიქრა,  
 ვკანკალებთ საცოდავათა.

ჯერ კიდევ ზატარები ვართ,  
 ტეში ვერ წაზალთ ცულითა,  
 რომ მარხილს შემა დაუწყოთ,  
 ჩამოვათრიოთ ცურვითა,

ბუნარში ცეცხლი დავანთოთ,  
 გარს შემოვუსხდეთ თავათა,  
 ჩვენც გავთბეთ, დედაც გავათბოთ,  
 აღარ გაგვისდეს ავათა...

მამ ნულარ ჭეინავ, ზამთარო,  
 ნუ გვაკანკალებ სიცივით,  
 ნუ სარ უგრძნობი, უგულო  
 შეუბრალებელ მსეცივით.

## ნატკრის თვალნი.



ეო და არა იეორა, იეო ერთი გლეხნი კა-  
 ცი, იმასა ჭეუანდა ცოლი და ერთი ვაჟი-  
 შვილი. ისინი ძალიან ღარიბათა ცხოვრობდენ, ასე  
 რომ სძირათ ნაცარსა ჭეშრუკამდენ და იმასა სჭამ-  
 დენ. ერთხელ დედამ დაართა ნართი, დაუძახა შვილს  
 და უთხრა: აჭა, შვილო ეს ნართი, წაიღე ქალაქში,  
 გაუიდე და ჰური იეიდეო. ემაწვილმა გამოართვა დე-  
 დას ნართი და წაიღო ქალაქში გასასყიდათ. მივიდა  
 ემაწვილი ქალაქის განაპირას და დაინახა, რომ გლე-  
 ხებს გამოუყვანათ ქალაქს გარეთ ერთი ძალი და  
 ჭკლავენ კეტებით. ემაწვილს შეებრალა ძალი, შეე-  
 ხეწა გლეხებს: ნუ მოჭკლავთო. გლეხებმა არ შეის-  
 მინეს ემაწვილის ხეწნა-ვედრება. მაშინ ემაწვილმა  
 უთხრა გლეხებს: ძიტათ ეკ ძალი მე მომიედეთო.  
 —აბა რას მოგუცემო, უპასუხეს გლეხებმა.—აი ამ ნართს  
 მოგცემთო, უთხრა ემაწვილმა. გლეხებს გაეხარდათ,  
 გამოართვეს ემაწვილს ნართი და მისცეს ძალი.  
 ემაწვილმა მოუაღერსა ძალს და წამოიყვანა შინ.  
 დაინახეს დედ-მამამ, რომ იმათ შვილს ძალი მოჭ-  
 ეავს. ჭკითხეს—ძალი სადგომოვანიაო. ემაწვილმა უამ-  
 ბო, როგორ გამოეყვანათ ეს ძალი გლეხებს ქალა-  
 ქის გარეთ და როგორ ჭკლავდენ და როგორ იეიდა

ნართსე. დედ-მამას ძრეულ ეწეინათ, რომ იმათმა შვილმა იმის მაგვირათ რომ ნართი გაევიდა და ზური ევიდა, ნართსე ძაღლი ივიდა, მაგრამ რაღას იხამდენ. მორეთ კიდევ დაართა დედამ ნართი, დაუძახა შვილს და უთხრა: აჰა შვილო ეს ნართი გაევიდე ქალაქში და ზური ივიდე, სო იცი შიმშილით ვინოცებით. ემაწვილმა გამობრთვა ნართი დედას და გასწია ქალაქისკენ ნართის გასაცვლელათ. მივიდა ქალაქის ახლო, დაინახა, რომ გლეხებს გამოუყვანიათ ქალაქ კარეთ კატა და ჰკლამენ. შეებრაღა კატა ემაწვილს, დაუწყო გლეხებს ვედრება, ნუ მოჰკლავთ კატასაო, მაგრამ გლეხებმა არ შეისმინეს ემაწვილის ვედრება. რა ექნა ემაწვილს აღარ იცოდა. ევიდა კატა ნართსე ვაი იყო, რადგან შინ დედ-მამა შიმშილით ესოცებოდა, არ ევიდა კიდევ ვაღაღა. ვედარ აიტანა ემაწვილმა კატის საცოდობა და უთხრა გლეხებს: მაიტა ეკ კატა მე მამეიდეთო. რას მოგცემო უთხრეს გლეხებმა ემაწვილს. აი ამ ნართს მოგცემთო. გლეხებს გაესარდათ, გამობრთვეს ემაწვილს ნართი და მისცეს კატა. ემაწვილმა მოუკურგულა კატას და წამოიყვანა შინ. დაინახეს დედ-მამამ, რომ ემაწვილს კატა მოჰყავს და ზური არსად უხანს.—რა უეავ ნართიო, ჰკითხა დედამ შვილს. ემაწვილმა უამბო დედ-მამას, როგორ ჰკლავდენ გლეხები კატას, როგორ ესვეწა არ მოეკლათ და ბოლოს როგორ ივიდა. ვერაფერი უთხრეს შვილს დედ-მამამ. გავიდა რამდენიმე ხანი. დედამ კიდევ დაართა ნართი, დაუძახა შვილს, მისცა ნართი და უთხრა:—აბა ესლბ

მანც ზური იეიდუ, თორუმ ჩვენც მშივრები დავისო-  
 ცებით, შენი ძაღლიც და კატაცო. ემაწვილმა გამო-  
 ართვა დედას ნართი, წავიდა ქალაქში ნართის განსა-  
 სეიდათ, მივიდა ქალაქის განაწირას. დანახა ერთი  
 უშველებელი ქვის ეორე. ეორეს გარემამო ახვევიან  
 გლესები. მოუნდა ნახვა, რას ეხვეოდენ გლესები. მი-  
 ვიდა ეორესთან, დანისხა რომ, გლესებს მოუტანე-  
 ბიათ ეორეში გველის წიწილა და უნდათ მოჭკლან.  
 გველის წიწილა წივის, ეძალება ეორეში—შეებრალა  
 ემაწვილს გველის წიწილა, შეეხვეწა გლესებს: რას  
 კიძლით ეგ გველის წიწილა რომ ჭკლავთო. გლე-  
 სებმა თაფი არ დანებეს. მამინ ემაწვილმა უთხრა:  
 ნუ მოჭკლავთ გველის წიწილას და აი ამ ნართს  
 მოგცემთო. გლესებს გაეხარდათ, გამოართვეს ემაწ-  
 ვილს ნართი და წავიდენ შინ. გველის წიწილის წი-  
 ვილსე, უცბათ მოვარდა იმისი დედა, გაეჩანა ემაწ-  
 ვილისკენ და უნდოდა დაეებინა, ამ დროს გაეჩანა შვი-  
 ლი დედისკენ, მოეხვია ეელსე, შეევედრა არ შეეჭამა  
 ემაწვილი, უამბო ეველაფერი. როგორ ემაწვილმა  
 გადააჩინა ის სიკვდილს გლესებისსაგან. გველმა ამა-  
 სე მადლობა გადუხადა ემაწვილს, შემდეგ ამოიღო  
 ენის ქვეშიდან ნატურის თვალი, მისცა ემაწვილს და  
 უთხრა, რაკი შენ ამისთანა სიკეთე მიუაჳ, რომ შვი-  
 ლი სიკვდილს გადაძირჩინე ეგ ნატურის თვალი შენ  
 იქონიე ჩემ სახსოვრათ, რასაც ინატრებ ეველაფერი  
 მოგცემბო. ემაწვილმა გამოართვა გველს ნატურის  
 თვალი, ჩაიდვა უბეში და წამოვიდა შინ. დანახეს  
 დედ-მამამ ემაწვილი, ცარიელი შინ მოძავალი და შე-



მოყვარებთ გულის, კიდევ ჰური არ უეიდნაო, შივიდან  
 ემაწვილი, ჰკითხა დედამ, რა უყავ ნართიო? ემაწვილ-  
 კამბა დედ-მამას გველის წიწილის ამბავი და  
 ისიც, თუ როგორ მისცა მისმა დედამ ნატურის თვა-  
 ლი. მამ, აბა ინატრე რამე თუ მართალიაო.

— აბა რა ვინატრო, დედიო, ჰკითხა ემაწვილმა  
 დედას.

— ინატრე შვილო, რომ ერთი თავმოებულად  
 ვარცლი ჰური მოკვცეს.

ემაწვილმა ინატრა და მართლაც უცბათ საიღამ-  
 დაც განხდა ერთი თავმოებულად ვარცლი ჰური. გაე-  
 ნარდათ მშობლებს ჰური. სჭამეს თითონაც და ძაღლ-  
 საც და კატასაც აჭამეს.

კიდევ ბევრი რამე ინატრა ემაწვილმა და სუევე-  
 ლაფერი უსრულდებოდა. გავიდა კარგა ხანი, ისე  
 გამდიდრდა ამ კლესის ოჯახსი, რომ მართლაც კარ-  
 გათ, ემაწვილიც დავაკვაცდა, კლესი კაცი და იმისი  
 ცოლი ძრიელ მოუძღურდენ, აღარ შეეძლოთ სტუმ-  
 რის და მოყვარის დახვედრა. ერთხელ დედამ დაუმხა  
 თავის შვილს და უთხრა: აი შვილო, სომ გვხედამ, მე  
 და მამამენი მოვხუცდით, აღარა შეგვიძლიან რა. სახ-  
 ლის საქმე ბევრი გვაქს, კარდა სახლის საქმისა მიმ-  
 სვლელობა, მომსვლელები და ეველას გამდოლა უნდა.  
 მოდი შვილო და ითხოვე ცოლი, რომ ჩვენც მოხუ-  
 ცებულებს უური გვიგდოს და სახლის საქმესაც  
 გაუძღვესო. ჯერ არ გაეთავებინა კლესის ოჯახს  
 საუბარი სარძლოს მოყვანასე, რომ იმათ ესოში შე-  
 ოვიდენ ერთი თეთრწვერა მოხუცი და ერთიც ასე

ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალი. ოჯახმა მიაქცია ვურადღება მკსაზრებს, ეველანი გამოვიდენ ესოში, ჰკითხეს მოხუცს ვინაობა. მოხუცმა უხასუსა: მკსაზრები ვართ და ბინას ვეძებთო.—მობრძანდითო, მიუგო გლესმა მოხუცს,—ღვთის სტუმარს უარს ვინ ეტყვისო. ბინდ-მანდი მოტანებული იყო, გლესმა მისცა მკსაზრებს ბინა, სასურ-საგები, საჭმელი და მოასვენა. მეორე დღეს გლესის ცოლი ჩვეულებისამებრ ადრე ადგა, მოუარა სახლ-კარს, ესო-ეურეს და შემდეგ შევიდა მკსაზრებთან, გაეგო, ხომ არა ესაჭიროებათ-რა, შევიდა ოთახში, ჰხედავს მარტო მძინარე ქალს, მოხუცი არსად არი. კიდევ მიხედ-მოიხედ და დიასახლისმა, მაგრამ მოხუცი ვერსად იპოვა, გამობრუნდა უკანვე, იფიქრა იქნება სტუმარი გარეთ ესოში გავიდაო, მიიარ-მოიარა ესოშიაც, არც ესოში იყო. შემბრუნდა ისევ ქალთან, ქალს გაუაღვიძებო.—რა იქნა, შვილო, მოხუციო, ჰკითხა მასწინძელმა სტუმარს.—არ ვიციო, მიუგო ქალმა, მე დაღლილი ვიყავ მკსაზრობისგან, დავწექ თუ არა დაძებინაო. სახლის ზატრონმა გამოჰკითხა სტუმარ-ქალს ვინაობა თავისი და მოხუცისაც. ქალმა უამბო:—მე ერთთ ერთი ქალი-შვილი ვარ მამისა, არ მახსოვს ისევ ზატარას მოძკვდომია დედა. მამაჩემს მოუეფანია დედის მაგიერი. თურმე დედის ნაცვალი უდიერათ შექცეოდა და მტანჯავდა. გაეგო ეს ჩემს დედის-დას და წავეყვანე თავისთან. ვიყავი იქ და ვიზრდებოდი, არც კი ვიცოდი მე შევანდა მშობელი დედ-მამა თუ არა. აკერორი წელი იქნება, რაც დეიდა-ჩემი გარდაიცვალა,

მე დაურჩი უნატრონით და ძალა უნებურათ რუნეს მამასთან. დაბრუნდი, მაგრამ ვაი იმ დაბრუნებას. მთელი სოფელი მე მბრალობდა და იუვენ ჩემი საცოდლობის მოწმენი დედინაცულის ხელში. ვეღარ ავიტანე ვაება, გადაფწევიტე მოძიეკლა თავი და ამ აზრით, ავერ მეორე დღეა, გამოველ სასლიდან, მივედი ერთ მდინარის ზირსე, მოუნასე ღრმა მორვეი, ის ის იყო უნდა გადავვარდნილიყავ, რომ წინ ვე ბერიკაცი გადაძელობა, რომელიც გუშინ ჩემთან ერთათ მოვიდა, მკითხა მიხეცი თავ-განწირულებისა, მე უამბე. შენ შვილი და მე ძამაო, მიხასუსა, ჩემ ნანამბობსე მოხუცმა,—წამოდი შვილო ჩემთან და რასაც დმერთი მოგეცემს ორივე დაუჯერდეთო.

სსვა რა გზადა მქონდა გარდა თავის დაღრჩობისა, დავეთანსმე მოხუცს და გამოვეე. ბევრი სიარულის შემდეგ მოვადექით თქვენ სასლს, მოხუცი შემობრუნდა ესოში, მეც შემოვეე და რაც იმის შემდეგ მოხდა თქვენც სო იცითო.

გლეხის ცოლს ძრეელ გაქსარდა ქალის ნანამბობი, იფიქრა, რომ იმათ ქალთან ერთათ უბრალლო მკსავრი არ ეწვიათ. ეს ქალიც ალბათ წერაბ ჩემი შვილის საცოლეათაო. ამ ფიქრით გლეხის ცოლი გადაეხუია ქალს, დაჰკოცნა და წამოიყვანა თავის ქმარ-შვილთან. უამბო ქალის ნანამბობი, მოხუცი სტუმრის გაუგებრივ წასვლა და თავისი აზრიც, რომ ეს ქალი იმას ძრეელ მოსწონს და რძლათ უნდა. გლეხსაც მოეწონა ცოლის აზრი. თავიანთ



შეილს ჯვარი დასწერეს მოხუცი კაცის მოყვანილ ქალზე.

რძალი გლეხის ოჯახს ენით სანატრელი გამოადგა. შეეძინათ რამდენიმე ქალი, ვაჟი და ცხოვრობდნენ მხიარულათ. აქამდის მიერეუებული და მიუჩნებელი ოჯახი ახმაურდა. დაიწეს ბავშვებმა მერცხლებით რიკვინ, ჭრიკვინი. გლეხი მადლობას უძღვნიდა უფალს და იყო ერთი ენით გამოუთქმელსინხარულში.

გ. დ. კრელაშვილი.

(გაგრძელება შემდეგ)



# სახალხო ხუმრობა.



აბა მაგიდასთან იჯდა, გასეთს კითხულობდა, სერთუკის უკანა ჯიბიდან სელსახოცის ეური უჩანდა. ჰატარა კუდრატკელა ნუნუ კუთხეში დედოფლებს თამაშობდა. გოგონა რილასთვისაც წამოდგა, სელსახოცის ეური დაინახა, მიეპარა ჩუმათ ჰაპას და სელსახოცის წვერი გამოამარუქა და ისევ დედოფლებში გაერთო.

ჰაპამ გასეთის კითხვა გაათავა, ჯდომით მოხუცებულმა დაბრუებულის მუხლების გასაძლევათ ოთახში დაიწყო სიარული, მერე სელსახოცი ამოიღო და ცხვირი მოიხცა, შენიშნა მარუქი და თავის თავს დაეკითხა: ნეტა რის მოსაკონებლათ გამომასკვნევია ეს სელსახოცის ეურიო!

ნუნუ სწრაფათ წამოსტა და ჰაპის ხმა მალლა წარმოთქმულ კითხვასედ უპასუხა:—ნუნუს სახალწლოთ სათამაშო უნდა უეიდოო.

— ჰა, ჰა, ჰა! ჩიფჩიფით ჩიციინა მოხუცმა და მაშინვე ქუდი ზილო, სელში თავისი ბერკეტი დაიჭირა და სათამაშოს სასეიდლათ წავიდა.—რაკი დაგზირებივარ უნდა უეიდო, მეტი გზა არ არის, «უეიდი ფაიფურის ჰირუტეებს, დეე შეისწავლოს იმათსეზოლოგიაო».



ნუნუ შკაფთან მივიდა, სარბევით რძე გამოიღო, ჭიქაზე დაისხა და ძირსაც დააქცია.—არ ავწმენდ, არც გოგოს ვეჭვვი, ვანო შემოვა, ფეხი წაუსურდებო და წაიქცევა, და გავიდა.

ჰანა მოდის, ჯიბეში კოლოფი უდევს, იღიძება,— ჩემ გოგონას როგორ გავახარებ, როცა ამ ლამაზათ გამოსახულ ჰირუტეებს მიუტან.

დაქცეული რძე ვერ შენიშნა, ფეხი წაუსხლტა და ძირს ბრავგანი მოსძვრა.


ბრახუნსედ ნუნუმ შემოირბინა და სარწხრი დაიწყო, მერე კი შერცხვა და ჰანას აყენება დაუწყო: ჯიბეში კოლოფი დაუნახა და სტუნაობა დაიწყო:—აბა ჰანა, რა მიუიდე?

ჰანამ კოლოფი გახსნა და შიგ მარტო ფაიფურის ნამტვრევები და იყო.

ნუნუ კუდ ამოუებული კარში გაიქცა.—ანია ჩემსედ. ვანოს მახეს უკებდი, ჰანა კინაღამ მოჰკაფდი და სულ ცარიელიც დაგჩი და ტირილი დაიწყო.

ექ. გაბაშვილისა





## ანდრეასი.

(წარმოდგენილი მარჯიაშვილისგან)

მრავალ ფესვიან ხეს ქარისა არ ეშინიან.

ქკუა თავში და არა ხანშია.

სიმართლის წინ მთებიც თავს მოიხრიან.

## აკრძსტიხი.

(განსვენებული მ. ლელაშვილის რეკუილიდან)

ძვირფას მშობლის გულ მკერდზე ლამაზათ მიწყობილია,  
უძვირფასების საკვებით ბუნებით შემკობილია,  
ძაან კარგია პატარავ, ყველა საქმელზე ტკბილია,  
უიმიხოთა გაზდილი, ეჰ, ვერაფერი შვილია.

## ბამოცანა.

(წარმოდგენილი შალვა გურულიშვილის მიერ)

ტყე შიშველი, ფესვიშველი,  
სახელს ვამბობ, ვერც კი ჰხვდები.



## რ ე ბ უ ს ე ბ ი.

(წარმ. ნატ. აზმაიფარაშვილის შაერ)



ო



კ ს უ



ს

## ა ხ ს ნ ა.

გამოცანა: კატო.

აკროსტიხი: ფული.

 რებუსი: შეიღ სამთაეროს მოგვაგონებს, მოელვარე ის  
 შეიღ ფერი და გვამღერებს ახ ლ წელსა ჯე-  
 ჯილი და მისი ერი.





## სახალწლო მილოცვა.



ავშებო! მხოლოდ თქვენსკენ ვარ  
 იმედით თვალმოპყრობილი,  
 მხოლოდღა თქვენით ვნუგეშობ  
 სევდა-ვარამით პყრობილი.  
 დღეს თქვენებრ წრფელათ ვიმღერი,  
 არა ვარ გულ ჩათხრობილი,  
 თქვენ შემაყვარეთ სიცოცხლე  
 ჩემგნივ ათასჯერ გმობილი-  
 ჩვენი მომავლის სარკენო!  
 ისმინეთ ჩემი თხრობილი,  
 ახალ წელიწადს გილოცავთ—  
 თუმც ძველისგან არის შობილი.  
 ღმერთს ვსთხოვოთ ესეც არ იქნეს  
 იმისი მსგავსი, ძმობილი,

მას ევალება ააგოს  
 ქვეყანა დღეს დამხობილი;  
 გამხნევი ყრმებო! სულ მალე  
 გწამდეთ, ჩვენც გაგვითენდება,  
 დაშრება სისხლის, ცრემლის ზღვა,  
 ზედ შვება აღმოცენდება,  
 ასეა — ძველი ინგრევა, სადაც ახალი შენდება,  
 მაშ, მივეგებოთ ახალ წელს  
 მოლხენით, სიხარულითა,  
 მომავლისადმი იმედი  
 მუდამ ვატაროთ გულითა.

## მერი მეგობარი.



ცოდე, მერი, ჩვენი პირობა არ  
 დაგავიწყდეს. თუ წერილი ხში-  
 რათ არ მომწერე, ძალიან მე-  
 წყინება. ეუბნებოდა ქეთო ვა-  
 მოთხოვებისას თავის მეგობარს  
 და ამხანაგს — მერის.

— წერილების წერა თუმცა  
 არ მიყვარს, ქეთო, მაგრამ ვეც-

დები, ჩემი დაპირება შევასრულო.

მერი და ქეთო ერთათ სწავლობდენ, ერთმანერთში მე-  
 გობრული განწყობილება ჰქონდათ. ზაფხულობით სოფელში  
 მიდიოდენ ხოლმე და მეხუთე კლასში როცა გადავიდენ, ერთ-  
 მანერთს სიტყვა მისცეს: ზაფხულზე ერთიმეორესთან მიწერ-  
 მოწერა გავმართოთ.

### საყვარელო მერი!

ვერ წარმოიდგენ, რა ლამაზი ბუნებაა ჩვენ სოფელში.  
 გარშემო ტყეებია, შუაში მდინარე ჩამოდის. ძალიან გრილია.  
 მე სულ გარეთ დავრბივარ.

ჩამოვედი თუ არა სახლში, დედაჩემს შეგვხვებუე: ჩემო,  
 ჩემო დედიკო, ერთი რამ უნდა გთხოვო და უსათუოდ უნდა  
 ამისრულო მეთქი. არაო, ჯერ მითხარი, რა გინდაო. მეც  
 აღარ მოვეფი და სიტყვა მომცა. მაშინ მე ვთხოვე, რომ ნე-  
 ბა მოეცა ფეხშიშველი მევლო ხოლმე ეზოში. სირცხვილია  
 შეილოვო, როგორ შეიძლებაო, მაგრამ რაკი სიტყვა მომცა,  
 რალას იზამდა? მე მაშინათვე გავიძვრე ფეხსაცმელები, გავი-

შიშვლე ფეხები, გავიქეცი და გამოვიქეცი მწვანე ველზე.

რომ იცოდე, როგორი მიამა. ისეთი კარგია, ისეთი კარგია ფეხშიშველა სიარული, რომ. აბა ერთი გამოსცადე.

არა, სირცხვილიაო! რა სირცხვილია? ჩვენს სოფელში ნახევარი ხალხი ფეხშიშველა დადის. ჩვენი მეზობლის ბავშვები მთელი დღე ფეხშიშვლები დადიან!

წერილი თუ მალ-მალ არ მომწერე, იცოდე, დაგემღურები. გაკოცებ ათასს, ორი ათასს.

შენი შეკობარი ქეთო.

### საყვარელო ქეთო!

აღბათ მიწყრები, რომ ამდენ ხანს არაფერი მოგწერე. ძილის მეტი არაფერი არ მიკეთებია და რა ვქნა. სასწავლებელი იმიტომამ მძულს, რომ აღრე უნდა ავდგე ხოლმე. აქკა პირველ საათამდინ ფეხს არ გავანძრევ ხოლმე, — მძინავს და მძინავს. რომ იცოდე, როგორი მიყვარს ძილი! პირველ საათზე ავდგები, ჩაის დავლევ: ოთხ საათზე სადილსა ვჭამო... თუ სტუმრებია ჩვენსა, გვიან ვიძინებ, თუ არა და ათსაათზე ლოგინში ვარ.

აბა, რომ არა მაქვს დრო, რომ ხშირათ მოგწერო!

დელაჩემს ვუთხარი, ფეხშიშველა გავივლი მეთქი, და ისეთი დამიყვირა, რომ. რას ლაპარაკობო, გლეხის გომბიო ხომ არა ხარო, ფეხშიშვლები მარტო გლეხები დადიანო. მეც რომ ჩავფიქრდი, მართლაც სირცხვილია ფეხშიშველა სიარული. ფეხშიშველა მარტო ღარიბები დადიან. ნურც შენ და დინარ ფეხშიშველა. თფილისში რომ გაიკონ, დაგცინებენ.

შენი მერი.

### საყვარელო მერი!

შენს წერილს რომ ვკითხულობდი, სულ მამოქნარებდა, ეგ რა ძილის გუდა ყოფილხარ!

მე სოფელი იმიტომ მიყვარს, რომ ავდგე და ეზოში, ბაღში გავარდე. ექვს საათზე მე ზეზე ვარ ხოლმე. გავიქეცი ფეხშიშველი მდინარეზე, დავიბან პირს, დავავლებ ხელს ყველსა და პურს; როცა პური არა გვაქვს, — მჭადს; დავჯდები კაკალ ქვეშ მოლზე და ვიბუშენები!

ცხელმა ჩაიმ ქალაქშიც მომაბეზრა თავი, სოფელში ჩაის როგორ დავლევ! ყველსა და რძეს რომელი ჩაი ჯობია? ხან-დახან გავიქცევი საქათმეში, ნაფხავ საბუღარში ახალ კვერცხებს, მოვხარშავ და შევექცევი მადიანათ. შუადღეზე ჩვენ სადილი მზათა გვაქვს. მამაჩემი მზეს შეხედავს ხოლმე და იტყვის: შუადღე წამოსულა, სადილობის დროაო. სოფელში საათი ვის გაუგონია! რომ ჩამოვედი, მთელი ერთი კვირე ლობიოს მეტი არაფერი მიჭამია. უჰ, რა გემრიელია ლობიო! დედა ჩემი იმისთანა გემრიელ ლობიოს აკეთებს, იმისთანას. იცი, ნიგოზი ნდომებია ბევრი, ხახვი, პრასი, ქინძი,—თფილისში რომ ჩამოვალ, უსათუოთ გასწავლი.

გაკოცებ ბევრს, ბევრს, ბევრს.

შენი მეგობარი ქეთო.

### ჩემო ქეთო!

შენი წერილი რომ წავიკითხე, ბევრი ვიცინე. ექვს საათზე რა ამაყენებს ზეზე! შენ კი ამ დროს კაკალ ქვეშ ზიხარ და ყველსა და მკადს შეექცევი. მერე ხომ ხელები გაგესვარა! მე ხელით ჭამა არ შემოძლია. ერთხელ სოფლის ბიჭი დავინახე, ილიაში მკადი ჰქონდა, მოსტეხდა ხელით და სკამდა, კინალამ გული ამერია!

არცა ვკამთ ჩვენ მკადს. ერთხელ დედას ვუთხარი და ასე მითხრა: მკადი ღორების საკმელიაო. აქ მარტო გლეხები სკამენ მკადს.

ძალიან ბევრი ვიცინე, რომა მწერ, დედაჩემი კარგ ლობიოს აკეთებსო. მაშ მოსამსახურეები რისთვის არიან, თუ მათი საქმე ჩვენ ვაკეთეთ?

იცი, ლობიოს კეთებას ნუ მასწავლი. ლობიოს აქ მხოლოდ გლეხები სკამენ და მე არ მიყვარს. როდესაც მე დიდი ვიქნები და გავთხოვდები, ლობიოს არასოდეს არ გავაკეთებ. აბა რა საქმელია ლობიო. აქ მოწყენაა. ჩვენსა სულ კარტს თამაშობენ. მეც ვიცი კარტის თამაში, მაგრამ დედა ნებას არ მაძლევს, ჯერ პატარა ხარო. მაშ რა გავაკეთო სოფელში?

შენი მერი.

**ჩემო მეგობარო მერი!**

ისე გარბის დღეები, რომ ვერც კი ვამჩნევ და შენ კი მოგწყენია. სოფელში მოწყენა განა შეიძლება!

მე რომ დიდი გავიზრდები იცი, რას ვიზამ, ჩემს სოფელში დავრჩები, სკოლას გავხსნი, მოვაგროვებ სოფლის ბავშვებს და ყველას უფულოთ ვასწავლი. იცი, ძნელი არ არის. აი ახლაც მე ათ ბავშვს ვასწავლი წერა-კითხვას. არაფერი არ იცოდენ სრულებით. ახლა კი კითხულობენ და ცოტას სწერენ კიდევ. რომ იცოდე, რა სასიამოვნოა, როდესაც სხვას წერა-კითხვას ასწავლი. ახლა მე დავრწმუნდი, რომ ჩვენი მასწავლებლები ძალიან ბედნიერები არიან. მეც იმათსავით ბედნიერი ვიქნები, როცა გავიზრდები: ასი ბავში მაინც მეყოლება ჩემს სასწავლებელში. მე ერთი აზრი დამებოდა, მერი, მე და შენ ერთათ გავაღოთ აქ სასწავლებელი და ორივემ ერთათ ვასწავლოთ.

ან არა და შენ—შენ სოფელში გააღე, მე ჩემს სოფელში. ზაფხულობით თავისუფალი ვიქნებით და ზაფხული ერთათ გავატაროთ ხოლმე.

შენი მოყვარული ქეთო.

**დაო ქეთო!**

შენ ისე შეგყვარებია სოფელი, რომ სკოლის გახსნასაც კი აპირებ. მე კი ახლაც მომეწყინა სოფელში. სოფლის ჭუჭყიანი ბავშვები შენთვის დამითმია. ძალიან მიკვირს, როგორ შეგიძლია იმათი სწავლება. გლეხის შვილები თურმე ისეთი უნიჭოები არიან, რომ ალბათ მთელი დღე თავი გტკივა ხოლმე. სხვისი გულისათვის რისთვის იწუხებ თავს?

მე რომ დიდი გავიზრდები, სოფელში ფეხს აღარ დავადგამ, რა მინდა სოფელში? ჭუჭყიანი, ქალამნებით, კონკებში გახვეული ხალხის მეტი არავინ არის.

აქ გიმნაზისტები და კადეტებია, თორემ ერთობ მომეწყინებოდა. რეალისტებიც არიან, მაგრამ მე რეალისტები არ მიყვარს.

ერთი კადეტია, ვოლოდია სოკოლოვი. როცა თფილისში ჩამოხვალ, უსათუოთ გაგაცნობ. ჩვენთან ახლა ხშირათ დადის და ის მართობს. თორემ ვერ გავძლებდი.

რაც უფრო ვიზრდები, მით უფრო მექნელება სოფელში ცხოვრება.

შენა მერი.

### ჩემო კარგო მერი!

შენი წერილი რომ წავიკითხე, ვტირე, შენ მე მცდი, მართალს არა მწერ, შენ ძალიან კარგი მერი ხარ, კეთილი მერი და არა ისეთი, როგორც შენა მწერ, შეი ეშმაკო შენა! მიგიხვდი, ვერ მომატყუებ. გჯუშინ ილია ქავჭავაძის თხზულებას ვკითხულობდი. იქ ერთი მშვენიერი ლექსი წავიკითხე:

«რომ ბედში მყოფი შენ ძმათ მიგაჩნდეს,  
ეგ ვერაფერი სიყვარულია.  
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,  
ვინც ბედისაგან დ ჩაგრულია.»

ეს ლექსი გულს მომხვდა, პირდაპირ გულს. მე მიტომ მიყვარს სოფელი, რომ აქ ძალიან ბევრია ბედისაგან დაჩაგრული და მე კი შემიძლია ამათ სარგებლობა მოვუტანო. აბა ქალაქში მე ვის რა უნდა გავუკეთო! აქ კი დავჯდები კაკალ ქვეშ, შემოვიჯენ გარშემო სოფლის ბავშვებს და ვასწავლი. ვინ მოგახსენა, უნიკუები არიანო, ისე მივდებენ ყურს, როგორც დიდ მასწავლებელს. ორჯერ რომ ავუხსნა რამე, მერე სულ ზებირათ იციან. კვირა უქმე დღეს ეკლესიაზე ავდივარ, გაზეთები მიმაქვს და წირვის შემდეგ ხალხს ვუკითხავ.

ისე მივდებენ ყურს, რომ ერთი სიტყვა არ გამოეპარებათ. ისეთი მადლიერი არიან და ისე ვუყვარვართ, რომ მე კიდევ მივივინ.

იქით კვირას წარმოდგენას ვმართავთ ბიბლიოთეკის სასარგებლოთ. უსათუოთ ბიბლიოთეკა უნდა გავხსნათ აკაკის ან ილიას სახელობაზე.

თქვენს სოფელში არის ბიბლიოთეკა? თუ არ არის, ეცადე, რომ გახსნათ. თქვენც წარმოდგენა გამართეთ და მამწერე, რა შამოგივათ.

შენა ქეთო.

**საყვარელო ქეთო!**

ილია ქავჭავაძე კი გამიგონია, მაგრამ მისი მე არაფერი წამიკითხავს. შენ ხომ იცი, მე ზარმაცი ვარ და კითხვა არ მიყვარს.

გაზეთები აქ მოგვდის, მაგრამ მე კი არ ვკითხულობ. რაც ჩემთვის საყურადღებოა, როცა თფილისში ჩავალ, ისეც გავიგებ ყველაფერს.

ჩენს სოფელში არის თუ არა ბიბლიოთეკა, არ ვიცი... ახლა არც მაინტერესებს მე ბიბლიოთეკა. მე, საკალოვმა და სხვებმა გადავწყვიტეთ მანგლისში ცხენებით წასვლა, აქედან ოცდახუთი ვერსია. დედაჩემი ჯერ წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბოლოს დაგვეთანხმა. ხვალ დილით მივდივართ. როგორ დროსაც გავატარებ, თფილისში გიამბობ, წერილის მოწერას კი ველარ მოვასწრებ.

ძალიან მიხარია, ძალიან, ძალიან!

გაკოცებ ბევრს. ნახვამდის.

შენა მერი.

ივ. გომართელი.



## სიგლერა ქუჩის ფვილისა.



უჩიშვილი ვარ, ობოლი,  
ჩაგრული... გუხარელი...  
ქუჩაა ჩემი ძმობილი  
ჩემი ერთგული მფარველი...

მთელ დღესა იქა ვყიადებ  
მშიერ მწყურვალი--ეული,  
ვინ თავში მირტყამს, ვინ ცხვირში  
ვგონივარ გადარეული...

როს დაღამდება და ბნელი  
მოიცავს ირგვლივ არესა,  
და გამეფდება ღუმილი  
ქალაქის ყოველ მხარესა...

ამ დროს მე ქუჩის ყურეში  
მივწვები ჩუმათ, ფრთხილათა,  
და იქ ვათენებ მთელ ღამეს  
გულ-ცივი მიწის პირათა...

როს გათენდება ავდგები  
და კვალათ ვიწყებ ყიალსა,  
და ჩვეულებრივ ვიგემებ  
შხამით აღსავსე ფიალსა...

ქუჩაა ჩემი მფარველი  
ჩემი აღზრდელი აკვანი,  
აქ იბადება... აქ კვდება  
გულის ამაო ზრახვანი!..

ბ. ვარდოშვილი

## ქარიშხალი.



ღილა აღრიან სადღაც სოფელ გარეთ სიომ ოღნავ იღუმღათ დაიჩორჩულა, თითქოს მთებში მძიმე ოხვრასავით დაიკენესა და ისევ საღღაც გაჰქრა.

ყველაზე აღრე ნიავს გრძნობიარე ტირიფი გამოეხმაურა, მწუხარე ქალივით წელში მოხრილმა კენწერო წამით მაღლა ასწია, ტოტები კლავებევით ოღნავ აამოძრავა და თითქოს წამოქვითინდა—ოღნავ და გასაოცრად დაიშიშინა. თან

ორიოდ ფოთოლი ნიავს ქრთავით გაატანა და მოხრილი ისევ დაწყნარდა. მაღლა მთაზედ ბებერმა მუხამ გაჯავრებულივით წაიბურტყუნა და ციცაბო კლდეზე ამაყათ ვადმომდგარმა ძარს სოფელს ჩამოხედა.

სოფლად ახალგაზრდა ქანდრები თავებს ნაღვლიანათ არხევდენ, შემდეგ კი ყრუ და სამარისებული სიჩუმე დამყარდა. პირ მოქუშულ ცაზე შავი ღრუბლები შეყინულივით ერთ ალაგას შეჩერებულიყვენ და დედა-მწას შავ ლანდებს უგზავნიდენ. იყო წამი, როდესაც სოფლათ მამალი დაიცივლებდა და მისი ხმა სულ შეხუთულ არე-მარეში იმ წამსვე უკვალოდ ჰქრებოდა, ზოგჯერ კი მას რაღაც კაკუნა მოჰყვებოდა, მაგრამ ის კაკუნიც ავათმყოფის უსწორ-მასწორო გულის ცემასავით გამოკრთოდა და ისიც მალე კვდებოდა.

— გული მიწუხდება, სული თითქოს შემეხუთა ნუ თუ ბუღბული დღესაც არ მესტუმრება? ნაზი და მისუსტებული ხმით ჩურჩულებდა ასკილი და მშვენიერ პატარძალივით პირისფერ კაბით მორთულმა იქაურობას რომ გადახედა უფრო შეშინებული ხმით დაიჩურჩულა და თან მშვენიერი სუნი მოჰჳინა:



ქარიშხალი

— რა ვქნა, ნეტა რა ამბავია, ყველას სუფთა გონიერების ნია და ჩემსავით მოუსვენრად რაღაცას ელიან, ძლიერ ელიან, ან იქნებ მე ასე მეჩვენება? ნეტა რას ნიშნავს, ან ეს გული რას შემომკვნის? აგერ წყალიც რანაირათ შხუის!.. ასკილმა ყური დაუგდო...

მართლა მთებიდან იმ დროს წყალიც უცნაურად მოშხუოდა, თუ მხიარულ მზიან დღეზე მისი ხმა-ჩხრიალი მთელ არემარეს სიმღერასავით ეფინებოდა, თუ მთვარიან ღამეზე შევერცხლილ მთის წვერებს და ათას გვარ სამკაულებით მორთულ, ოცნებით გატაცებულ და სულგანაბულ სოფელს მშვენიერ ზღაპრათ თავს ევლინებოდა—იმ წამს მისი ხმა შეძრწუნებულ და აღშფოთებულ წინასწარმეტყველივით თანაბარ ხმაზე ერთსა და იმავეს ღაღადებდა და ისედაც სულგანაბულ და რიდასიკ მომლოდნელ არე-მარეს შიშს და თრთოლასა ჰგვრიდა.

და ელის, რაღასაც ელის სული შეხუთული არე-მარე!.. —ვაი ჩემს მოსწრებას... მაშ აღსრულდება... მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო საყვარელო ტყეო და მთებო. მშვიდობით...

უცნაურათ და ჩუმათ ჭრიალებს გამხმარი იფნი, მაგრამ უფრო საშინელებათ, როცა ის ყუჩდება. მაშინ სულ განაბული ბუნება დაკავებული გულის ცემით ელის... და აგერ კიდევ!.. შორით რაღამაც დაივრიალა. მთის გადმოღმა დიდ შარა გზაზე მტვრის სვეტებმა უარესათ ჩამოაბნელეს... აქეთ მთებმა ყრუთ ხმა მისცეს, ქვემოდ ტყეს და სოფელს გააჟრჟოლა და დასახვედრადაც მოემზადენ. ქარიშხალი კი მოდის, მოჰქუხს და გააფთრებულ გეზელქაჩევით მოსწივის. სოფლის ბოლოს დიდი ბოხა კაკალი თითქო კლავენსა სცდისო—ოდნავ არხევს მაგარ, სხვილ შტოებს და შეძრწუნებულ პაწია ხილებს დაკავებული ჩურჩულით ამხნევენს;

— ნუ გეშინიათ, აქ არა ვარ! უწინ მე შევებრძოლები, გულმკერდს მე მიუშვერ და თქვენ კი დაგისხნითო.

ეს კი მოასწრო კაკალმა და იმ დროს კიდევ მრისხანებით მოწყვეტილ გრიგალს მედგრად დაუხვდა და როგორც ზღვის ტალღები თავისავე ტოტები ერთი ერთმანეთს შეაფეთა, შეაჯარა და აღუღდა, აბობოქრდა. ქარიშხალი შემდეგ სოფელს მოედო, ყველა შეაშფოთა; საღ ნერგები აატირია,

ხმელ ხეებს წილები დასწყვიტა, ზემოდ მუხის ფულვას მიაწყდა და ისეთი დაიღრიალა, რომ ყველას თავზარი დასცა. იქ ძველ ბოსელს სახურავი მოგლიჯა და ძირს მრისხანებით გადმოაწყვიტა, ჰაერში ფოთლების შესანდობელი ცეკვა გამართა, ჩანჩქერთ დაჰბერა და ვერცხლათ გადმომსკდარი წყალი ჰაერში მბზინავ ნისლათ გაჰფანტა.

დულს, გმინავს და ჰტუხს არე მარე...

წყნარი, ქვიანი და დარბაისელი თრიმლიც გამწარებულ ტოტებით მიწაზე ეხეთქება და თავპირში ცემით რალსაც მოსთქვამს, მაგრამ ყველაზე საზარელ სანახავს კი სოფლის განაპირას საცოდავით ატუხული და ვილასიც მივიწყებული სახლი წარმოადგენს. ქარის დაბერვაზე ანჯამა ჩამოვარდნილი მისი კარები ერთს გულ საკლავად დაიქრიალებს და ჩარჩოებს ისეთს ეხეთქება, რომ ბანის ქვებს ძირს რახა-რუხი გაუდის. იბრძვის კარები, თრთიან და ცახცახებენ ჩარჩოები, დარბებში კი შექრილი ქარი ღმუის გულ გასაგმირათ და ყველას აშფოთებს... ირგვლივ კი ყველა ხმაურობს, ყველა თავისას ხმა მალლა ღალადებს, ზოგი უღონოთ კვნესის, სხვანი მწარეთ მოსთქვამენ, მაგრამ იმ წამს ყველანი ფხიზლათ არიან, ყველას ძალა მოუკრფვია, და ებრძვის.. ებრძვის განადგურებას!!!

თუმცა ზარის ხმაა გამეფებული, მაგრამ ყველას გულის თქმა, ყველას ძალა და ცხოვრების სიყვარული ცოცხალ სურათად და ცოცხალ ხმებათ იქ იბადება.

ათასი ხმები, ათასი გრძნობა ერთი-ერთმანეთში იხლართება და მუსიკას, ცხოვრების დაუდგრომელ, ღიად და საშინელ მუსიკასა ქმნის...

იბრძვის მთა და ბარი და იბრძვიან ცაში ღრუბლები. აქამომდე ერთ ალაგას შეყინული და სულის შენეხუთველი შავი ღრუბლები ცაზედ მრავალ სახით არეულან და მოჰქრიან, შორს სადღაც ესწრებებიან. თუ ზოგჯერ ერთმანეთს სადმე ცის კიდვზე შეეხლებიან და ცეცხლის მახვილებით იბრძვიან, მეორე მხარეს მანდილივით გაკრიაგებულნი ლურჯ, კამკამა ცას ჩამოეცლებიან, მის მომღიმარ სახეს მდრტვინავ ქვეყანას დაანახებენ და ისევ მოიღუშებიან... და იცვლებიან, ქარიშხალისაგან თან და თან სხვანაირდება არე-მარე!..

აგერ, სამხრეთ-დასავლეთით შავ ღრუბლებს ოქროს ფე-



რი ეფინება... ცა ილიმება და იმ დროს, როცა კენესა-გრგვინვაა დამყარებული — მზე ნათელი, ქვეყნის იმედი და ამაყვავებელი მზე იქიდან ზოგჯერ გაიცინებს, გაილიმებს და ისევ დაიმალება... მაინც იმ ძრწოლის და კენესის ჟამს იმედს ხსნისას და სიცოცხლისას ყველას გულში იქიდან გამობრწყინებული მზის სხივი უნერგავს, თვით მომავლადვთაც კი ისა სჯერათ, რომ ორჯელ დიადი დაქროლა საკმარისია, რომ მშვენიერმა მზეზ ღრუბლები აქეთ-იქით შემოიფანტოს და გამობრწყინდეს...

ქარიშხალი კი ამ დროს სადმე მთებ შორის უკანასკნელათ დაიგრიალებს და იქ სადმე სულს განაბავს და განისვენებს. მზე კი იცინის, წელში გატეხილ-გავერანებულ ხეებს დასცქერის და უკვირს, რომ პაწია ფრთოსანნი, რომელიც ასე უხვათ ჩვენს ქვეყანას სჩვევიან — ამ წამს, როცა ბრძოლით მოქანცული არე-მარე თითქოს ისვენებს, ისინი ახალგაზრდა ხის ტოტებზე შემომსდარან და გალობენ, ისე ტკბილათ და მომხიბლოლათ გალობენ, თითქოს ქვეყანას ახალ ცხოვრებისაკენ იწვევენ:

აგერ მსხლის ტოტზე რაღაცა ფრინველმა ბოლო კოხტათ დაიქნია, აქეთ-იქით გაიხედა და რა შენიშნა, რომ მზის სხივებზე ახალი ძალით და ახალი იმედით მრავალი წელში სწორდებოდა, მან სიხარულით გულზე ყვითელი ბუმბული მოხდენილათ შეისწორა და ნისკირტ წამოწვდილმა ტკბილათ დამღერა:

— გენაცვალე, გენაცვალე, მთელი ქვეყანავ, რა რიგ მიყვარს ყოველი შენი დაწყობილებაო“.

ცქვიტი.



## აოხრებული პირა.



ცეცხლა პირას იჯდა მაღალი, გამხდარი, ფერმიხდილი მოხუცი და დაკვირებული წყნარათ ურევდა ჯოხს ქვაბში. იქვე ახლოს ახალგაზრდა ქალი ნანას უმღეროდა თავის პაწიას. დედის გვერდით დაფენილ ტყავზე იჯდა რვა წლის ბიჭი და მიბნედილი თვალებით ცეცხლის აღს მიჩერებოდა. მახლობელ ბუჩქის ძირას ურემზე გამოობმული ცხენი ბალახსა სძოვდა. ურმის ჩრდილი ისე გრძლიათ გაწვდილიყო,

თითქოს ცის კიდეებს უპირობდა ჩახუტებას.

— გადმოხვეწილები ხართ?

— დიახ, გადმოხვეწილები ვართ, ბატონო.

— შორიდან?

მოხუცებულმა დაასახელა თავისი სოფლის და დაბის სახელი.

— ცეცხლისკენ მოიწიეთ, მიიპატჷა მოხუცა. ისიც მიუახლოვდა ცეცხლს და საუბარი გამართეს.

მოხუცმა დაიწყო წყნარათ, დამშვიდებით, როგორც საზოგადოთ ჩვეულება აქვსთ ბევრი მწუხარების და ტანჯვის გამომლელთ.

— აი მივიღვართ, საით თვითონ არ ვიცით, მტერი მოგვდევს და ჩვენც მივატოვებთ ყველაფერი, მთელი ქონება, სულს გარდა. შვილი ომში წავიდა და ოჯახობა მე ჩამაბარა,



ქართული  
ლიტერატურის  
მემორიალი

უნდა მოუარო, ყური უგდო, მოვეფერო. სად მივალთ, როგორ მიგვიღებს უცხო ქვეყანაში უცნობი ხალხი, ვინ იცის?.. შეიძლება გვეითხონ: რატომ მოხვედით! ძალიან ადვილათ შეიძლება, ეხლა ყველას უჭირს.— მოხუცი გაჩუმდა, ჩაქინდრა თავი და ღრმა მწუხარებას და ფიქრს მიეცა, მერე ისევ ზევით აიხედა, მწარეთ ამოიოხრა და სთქვა—ჯოჯოხეთია, ჯოჯოხეთი სიბერის დროს სამშობლო კერის მიტოვება და ძებნა ახალი თავშესაფარის.

— ნანა... ნანინა... დაიძინე ჩემო კატუნია, დაიძინე ჩიტუნია—იმდროდა წყნარათ ქალი, მხოლოდ პაწიას გაედო დიდრონი თვალები და ძილი არ აგონდებოდა.

— სახლში მინდა... ქობში მინდა, ლატომ ვალთ ჩვენ აქა, ლატომ ჩვენ ქობში ალა ვალთ? გიტინებოდა დედას პატარა.

ეს სიტყვები ისარივით მოხვდა მწუხარებით მოცულ დედის გულს და თვალებიდან ელვის უმაღლესი ცრემლის ნაკადული წასკდა.

— დაიძინე შვილო, დაიძინე, ეფერებოდა ის ბავშს, დაიძინე ჩემო დედიკო, ჩვენ მივატოვეთ ჩვენი ქობი, გამოვეთხოვეთ ჩვენ სამშობლო მხარეს, ჩვენ ძველ საყვარელ კერას, მივალთ ფართო გზით, არ ვიცით კი სად. მოთმინება უნდა ვიქონიოთ, შვილო, უნდა ვიტანჯოთ და გვწამდეს, რომ ჩვენი ტანჯვა, და უმანკო სისხლი ჩვენი შვილების, ძმების და მამების—მოგვანიჭებს ახალ ბედნიერებას.

— დაიძინე შვილიკო, დაიძინე საყვარელო, ვიტანჯოთ და გვწამდეს მომავალი ბედნიერება...

ტყავზე წამოწოლილმა რვა წლის ბიჭმა ყური მოჰკრა ამ ლაპარაკს, წამოიწია, მიაპყრო დედას ძილისგან მთვრალი თვალები და ჰკითხა.—დედა, შენ ზღაპარს ჰყვები?..

ახალმა ცრემლებმა იელვა ახალგაზრდა ქალის ფერმკრთალ ლოყებზე.— არა, ჩემო კარგო, ზღაპარი კი არ არი, ჩვენ ეხლა ღარიბებო, უსახლკარონი ვართ. მწუხარებამ მოგვიცვა და მინდა ვიწამო, რომ ეს საშინელი ტანჯვა უმნიშვნელოა არ ჩაივლის...

— უმნიშვნელოთ არ ჩაივლის, ჩაილაპარაკა მოხუცმა დაჯერებული. ამას მართალს ლაპარაკობს.— ჩვენ მოთმინება

გვმართებს, მხოლოდ ჩვენი შვილი და შვილიშვილი იყოს ბედნიერათ. ბევრი სისხლი და კრემლი დაიღვარა, თითქმის მთელი დედამიწა დაასველა, აატალახა, ეხლა დროა დამყარდეს ქვეყანაზე მყუდროება, ბედნიერება.

— ბავშობის დროს გამიგონია ზღაპარი, განაგრძო მოხუცმა—ზღაპარი კაცზე, რომელიც თხოვდა ღმერთს, მიენიჭებია იმისთვის მთელი მწუხარება და უბედურება, რომ მომავალი თაობა, მისი შვილი და შვილიშვილი ბედნიერი ყოფილიყვენ. ვევედროთ ღმერთს, რომ ეს ზღაპარი ჩვენზე გაცხადებულიყოს. ჩვენ მოთმინება ვაქონიოთ და გვწამდეს, რომ ჩვენი ტანჯვა უბრალოდ არ ჩაივლის და რომ სხვებს მოუტანს სარგებლობას.

ბიჭუკელამ დედის კალთაში ჩაიძინა, დედამ სიფრთხილით ტყავზე დააწვინა და თითონ ცეცხლისკენ მიიწია.—ჩვენ ეხლა ციგნებივით ვყრივართ მინდორში, ამოიკვნესა ქალმა და ტანჯვის ღიმილმა გაუელღვა ტუჩებზე.


— ციგნებს სახლი არას დროს არა ვქონიათ და ჩვენ კი გვქონდა და აღარ არი, ჩვენ ციგნები კი არა მათხოვრები ვართ, მათხოვრები, უპასუხა მოხუცმა...—მაგრამ ვევედროთ ღმერთს ჩვენ ტანჯვას ბოლო მოღებოდეს, ჩვენმა ტანჯვამ სხვა გააბედნიეროს, სხვებს აჩუქოს კეთილი მომავალი.

თარგმანი სადიკოსი



# საპნის ბურთი.

(ზღაპრული ამბავი).



რთ სამზარეულოს ბნელ  
 კუთხეში, პატარა თა-  
 როზე იდგა ნაცრის ფე-  
 რი საპნის ნაჭერი, დი-  
 დი ხანია აქ ძევს, იმას  
 კარგათ ახსოვს ის დრო,  
 როცა იყო ლამაზი,  
 სუფთა, მშვენიერი სუ-  
 ნიანი საპონი, ის მო-

სვენებია ბძანდებოდა მაღაზიაში, გახვეულ აფერადებულ ქა-  
 ლალდში, მაგრამ რაც აქ ამ სამზარეულოში გადმოსახლდა  
 იმან დაჰკარგა მოსვენება. ყოველ დღე დილა საღამოს და  
 შუადღისასაც კი დიდი და პატარა, იღებდა საპონს, ისვამდა  
 ხელებზე და იშორებდა ქუჭუს, რაც შეეძლო ყველას ემსახუ-  
 რებოდა. მისი ქაფი ჩადიოდა წყალთან ერთათ ტაშტში, იქი-  
 დან ეზოს ორმოში ასხავდენ. ყოველ დღე საპონი ასე მუ-  
 შაობდა, მხოლოთ ღამ-ღამობით ისვენებდა.

ყველაფერს აქვს ამ ქვეყნათ დასასრული, ჩვენი საპო-  
 ნიც აღამიანის სამსახურმა დაასუსტა, დალია, ის გრძნობდა,  
 რომ მალე აღსასრული დაუდგებოდა, — სრულიათ გაქრებოდა  
 და ქაფათ ქცეულს ჩაუშვებდენ ორმოში.

მისუსტებული საპონი წყნარათ ელოდა ამ დროს, ის  
 არ ემდუროდა თავის ცხოვრებას, დარწმუნებული იყო, რომ  
 უსარგებლოთ არ უცხოვრია, თუმცა პატარა იყო, აღა-  
 მიანს დიდი სარგებლობა მოუტანა, მადლობას არავისაგან  
 არ ელოდა, მაგრამ რათ უნდოდა სხვისი მადლობა, ის ხომ  
 თავის თავის კმაყოფილი იყო, და არაფრათ აგდებდა სიკვ-  
 დილის მოახლოებას, პირიქით იმ წუთს წყნარათ, მორჩილათ  
 ელოდა.

მშვენიერი ზაფხულის დღე იყო. სამზარეულოში პატარა ცელქმა ბიჭუნამ შეირბინა, აიღო ხელში ძალზე დაღეული საპონი. საპონს ეგონა ეს არის უკანასკნელ სამსახურს უწევ ადამიანსო; მაგრამ ძლიერ გაკვირდა, როცა ბავშმა ხედის-დაბანის მაგივრათ ჩააგდო ის ჯამში, ზედ წყალი ჩაასხა და დაუწყაო ჯოხით რევა. აქაფდა საპონი, ბავშმა აიღო ქალაღის მილით ქაფი და დაუწყაო ბერვა მიღში, მილის ბოლოში გაჩნდა ლამაზი ბუშტი, რაც უფრო უბერავდა ყმაწვილი ბუშტი უფრო იზრდებოდა და ბოლოს მშვენიერ ბურთათ ქცეული აშორდა ქალაღის მილს და წავიდა სულ მალღამალღა. რა ბედნიერია ეხლა საპნის ბურთი! ნუ თუ სიკვდილს მიხწეული ეს პატარა საპონი არის ეხლა მშვენიერა ათასფრათ ბრჭყვინავი ბურთი?

თავის დღეში პირველათ ახსოვს ამას ასეთი ბედნიერება.

აი გადმოიხედა ქვევით და დანახა თავისი ძველი ბინა— ქუჭყიანი თარო, სადაც თავისი მთელი სიცოცხლე გაატარა, რა ლარბათ და რა საცოდავათ მოეჩვენა იმას ეს ბინა, უკვირს და ფიქრობს, როგორ გასძლო აქამდის იმ ქუჭყიან, ბნელ კუთხეში!

ადის ბურთი მალღა, გაღებულ ფანჯარას მიუახლოვდა და გარეთ გავარდა, ეხლა მის ბედნიერებას საზღვარი არა აქვს, თვალ გაღუწვდენელი სივრცე, სინათლე, მთელი ქვეყანა თავის სიღიაღით და სიმშვენიერით იმის წინ გადაიშალა; ბრწყინვალე მზის სხივები, ლურჯათ მოკაშკაშე ცა, თეთრი ნაზი ღრუბლები დიდებულათ მოსრიღლე ცის კამარაზე, ყველა ესენი ახარებდენ ჩვენ საპნის ბურთს. იმასაც სურდა მათთან გაფრენა, ქვევით კი დეღამიწა ყვაოდა თავის მშვენიერებით: მწვანე მინდვრები, თვალუწვდენელი ტყეები, გველივით დაკლაქილი მოჩარღღლე მღინარეები და იმათ ნაპირებზე ათასფრათ აყვავებული ქალღები... ყველა ამას ხეღავს ბურთი, ყველაფერს იმჩნევს, ყველა მოსწონს, რადგანაც ეს მშვენიერება მის საპნის გარსში ნათღათ იხატება. სულ დაავიწყდა ბურთს ადამიანი, სამზარეულო, თარო. იმას უნდოდა დამტკბარიყო ახალ-ახალი შთაბეჭდიღებით.

მიფრინავს ბურთი სულ მალღა და მალღა, რაც უფრო



მალა მიქრის, მით უფრო ამაჟღერებს თავისი მშვენიერებით—  
 იმას დაავიწყდა, რომ ეს სხვა და სხვა აფერადება მისი არა  
 ჩვეულებრივი სიმშვენიერე არის, მხოლოდ სიმშვენიერე  
 მთელი სამყაროსი, რომელიც მთელი საპნის გარსში იხატე-  
 ბოდა, როგორც სარკეში, იმას ყველაფერი დაავიწყდა და  
 სტკებოდა მხოლოდ თავის სიმშვენიერით.

მიფრინავს კვლავ მალა, მალა, მაგრამ აი ცივმა სიომ  
 შემოუქროლა და დაარღვა ეს ნაზი, სიფრიფანა გარსი საპ-  
 ნისა...

გაქრა ბურთი, თავის სიმშვენიერემ და სიამაყემ დაღუ-  
 პა ის.

მხოლოდ მღვრიე საპნის წვეთებათ ჩაცვინდა ქუჩუიან  
 ეზოს ორმოში.

იტა ნაკაშიძე



## რა შთაბეჭდილებას ახდენს მუსიკა სხვა და სხვა პირსუბიექტზე



საფრანგეთის ერთ სამხედრო მკურნალს უნდოდა გამოეცადა თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს მუსიკა ცხენებზე. ის კარგათ უკრავდა სალამურზე და ვიოლონჩელზე, იმან სალამურში ჯერ რამდენიმე შეუზამებელი და ერთმანერთთან შეუფერებელი ხმები ჩაჰყვირა, ცხენებმა უსიამოვნობა და უკმაყოფილება გამოიჩინეს; მაგრამ როდესაც მკურნალმა მწყობრი, წყნარი, სასიამოვნო მელოდია დაუკრა, ცხენები უფროად იმისკენ მიბრუნდნენ, ყურები გააქვიტეს და გარს შემოეხვივნენ. სახეზე სიამოვნება, კმაყოფილება და აღტაცება გამოეხატათ.

პარიზის ზოოლოგიურ ბაღში მუსიკალურმა დასმა სპილოვთვის კონცერტი გამართა. კონცერტმა სპილოზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ის მუსიკის ხმაზე მწყობრათ ინძრეოდა. როდესაც მუსიკა წრიბინებდა, ან ჩქარათ დაუკრავდა სპილო დელავდა. წყნარ და გრძნობიერ ხმებზე ის აღტაცებაში მოდიოდა, ზედამხედველს მიუახლოვდებოდა თითქოს იმისგან აღერს მოელოდა.

ამ გვარივე გამოცდა მოახდინეს დათვზე ლონდონის ზოოლოგიურ ბაღში. ერთმა მექიანურემ ქიანური დაუკრა, დათვი მიუახლოვდა, თითქოს მოფერებას უპირებდა. ამ დროს ქიანურმა ქყვიტინი დაიწყო, დათვი უკან გაბრუნდა, როცა მემუსიკემ მხიარული მარში დაუკრა, დათვი მიუახლოვდა და მადლობის ნიშნათ ტოტები მხრებზე დაუწყო.

ამერიკელ მხატვარს ჩიკაგოს ზოოლოგიურ ბაღში ლომების გადახატვა უნდოდა. იმან მხეცების დამამშვიდებელი ქალი მოიწვია, რომელსაც თაქისი შოლტით და შეხედვით უნდა დაეწყნარებინა და მხეცები მხატვართან მოშორებულ მანძილზე გაეჩერებინა. დამამშვიდებელი ქალის ცდა სულ ამოა იყო. მხეცები მხატვარს უახლოვდებოდნენ და საშიშარ მდგომარეობაში აყენებდნენ. უეცრად მას მოაგონდა მუსიკის გავლენა პირუტყვებზე, რომლის შესახებ ბევრი ამბავი ჰქონდა წაკითხული. მხატვარმა ნელის ხმით დაიწყო სიმღერა, მხეცები მაშინათვე დაწყნარდნენ, დაწვნენ და მხატვარს ყურს უგდებდნენ. იმანაც დამამშვიდებით მათი სურათი დახატა.

ყველამ ვიცით ძაღლები როგორ კმაყოფილებას და უკმაყოფილებას იჩენენ მუსიკის დაკვრის დროს. ზოგ ძაღლს ერთი საკრავი მოსწონს, ზოგს კი მეორე. გველს, ტურას და მელას მუსიკისა ძალიან ეშინიათ. გასაკვირველი ის არის, რომ ყველაზე უფრო მომეტებული მუსიკის მოყვარული არის ობობა. იმას იზიდავს წყნარი და სასიამოვნო ხმები. ის სულ განაბული და გაუნძრევლივ დამკვრელის მახლობლათ გაჩერდება დი დიდხანს სიამოვნებით ისმენს მუსიკას.

ეკ. მესხი.





# გველუშაკი ბორბონის თავი

(„სასწაულის ზღაპრების“ წიგნიდან.)



პერსეი იყო ვაჟი ხელმწიფის ქალის, დანაისა. როცა ბავში ისევე პატარა იყო ბოროტმა ხალხმა დედაშვილი ჩასვა ყუთში და გადისროლა ზღვაში. ზღვის ტალღებმა ყუთი გააქანეს და საკმაოდ დააშორეს ზღვის ნაპირს. დანაი იკრავდა

გულში ბავშვს. ყოველ წამს ამ უმწეო ყუთს ზღვა ემუქრებოდა შთანთქმავს, მაგრამ ის კი მიჰტურავდა შორს, სულ შორს. სალამოს ქაშს ეს ყუთი მიტურდა ერთ კუნძულთან და მეთევზეს ბადეში გება. ამ კუნძულის მფლობელი პოლიდექტი იყო, ძმა მეთევზისა, რომლის ბადეშიაც დედა შვილი მოჰყვა. მეთევზე მეტათ კეთლი და პათიოსანი კაცი იყო, დანაი და მისი შვილი სიამოვნებით მიიღო და ბინა მიუჩინა. მათ დიდხანს იცხოვრეს მასთან. პერსეი იზრდებოდა, თანდათან ვაჟკაცდებოდა, ღონიერი და გამბედავი შეიქმნა, თოფ-იარაღს მარჯვეთ ხმარობდა.

მეფე პოლიდექტი სულ არა გვანდა თავის ძმას, ის მეტათ ბოროტი და შურიანი იყო. ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა შეეწუხებინა დანაი და მისი შვილი თავიდან მოეშორებინა. იმან განიძრაბა ყმაწვილის დალუპვა. დიდიხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა შემდეგი: ისეთი საქმე უნდა დაევალებინა, რომლის შესრულება თუ თავს არ შესწირავდა შეუძლებელი იყო. პოლიდექტიმ ყველაფერი მოიფიქრა და შემდეგ მოიხმო პერსეი.



პერსეი მიიყვანეს სასახლეში, ყმაწვილი მოწიწებით წარუდგა მცფეს. — პერსეი, უთხრა პოლიდექტმა გესლიანი ღიმილით, — სასიამოვნოა, რომ გხედავ მაგრე ღონიერს და გულად ვაქაცს. კარგათ იცი, რომ შენ და დედაშენი დიდხანს სარგებლობდით ჩემი და ჩემი ძმის, მეთევზის, წყალობით და იმედი მაქვს ამ ამაგს გადიხდი.

— მიბრძანე თქვენო უდიდებულესობავ, მე მზათა ვარ ავასრულო თქვენი ბრძანება.

მეფემ ვერაგულათ გაიღიმა და თქვა:

— მე პატარას დაგავალე, შენ გულადი და ღონიერი ყმაწვილი ხარ, შეგიძლიან სახელი მოიხვეჭო; მსურს შევიერთო ხელმწიფის ქალი ვიპოვო. ისიც ხომ იცი, რომ ამისთანა შემთხვევაში, საქრმო ყოველთვის აჩუქებს ხოლმე თავის დანიშნულს მეტათ ძვირფასს და იშვიათ ნივთს, მართალი გითხრა, არ ვიცოდი რას მოინდომებდა ძღვნათ დედოფალი. ის ისეთი თავისებური გემოვნებისაა. ეხლა მოვიხატე რითი შემიძლია მოვაწონო თავი.

— რითი შემიძლია გემსახურო თქვენო უდიდებულესობავ.

პოლიდექტმა გადახედა მოწყალების თვალთ პერსეის და უთხრა: — მე მინდა მივართვა ჩემს საცოლეს გველეშაპი გორგონის თავი — მედღუხა გველის თმებით. რაც უფრო მალე წახვალ მის მოსატანათ მით უფრო კარგი იქნება, რადგან ვეჩქარები ქორწილს.

— ხვალვე ვიახლებით.

— კარგი ჩემო მეგობარო, მხოლოდ უნდა გითხრა ფრთხილათ იყავ, როდესაც გორგონს-მედღუხას თავს მოსჭრი, სახე არ გაუფუჭო, თუ თავს დაუმახინჯებლათ მომიტან, დარწმუნებული ვარ ჩემი საჩუქარი მეფის ქალს მოეწონება, თუმცა იმას კაცი ძნელათ რასმეს მოაწონებს.

პერსეი გაემგზავრა, პოლიდექტი სიცილით კვდებოდა, რომ იმან ადვილათ მოიშორა თავიდან პერსეი, მისი დაღუპვა ასე დაუპრკოლებლათ მოაწყო. კუნძულზე ყველამ შეიტყო, რომ პერსეი მიდის გველეშაპის თავის მოსატანათ. ყველას გაეხარდა, რადგან ამ კუნძულზე მცხოვრებნი, გარდა მეთევზისა, ყველა ბოროტნი იყვენ. ხალხი მოგროვდა, რომ

გორც სადღესასწაულოთ პერსეის გასაცილებლათ. ყველანი ერთმანეთს ანიშნებდნენ და ჩურჩულობდნენ:—აი ნახავთ თუ მავას კარგათ არ დაასაჩუქრებენ გველეშაპის წიწილები!..

იმ დროს სამი საშინელი გორგონი იყო ხალხის წარმოდგენით, არ იცოდენ კი სადა ცხოვრობდნენ, დედამიწაზე თუ ჯოჯოხეთში. ისინი ცოტათი დედა-კაცებს გვანდნენ, უფრო კი გველეშაპებს, ამ სამივეს თმების მაგივრათ თავზე ასზე მეტი გველის წიწილები ესხათ. ესენი წამდაუწუმ ინძრეოდნენ, იქიმებოდნენ, იკლანჯებოდნენ და უშვებდნენ გესლს. კბილები გორგანს ეშვებივით ჰქონდა, ხელები კი სპილენძისა, სხეული რკინისავით მაგარი მოელვარე ქერქით ჰქონდა დაფარული, ფრთები მათი ისე ელავდა, როგორც ხალისი ოქრო. როდესაც გორგონი მზეზე დაფრინამდა, კაცი თვალს ვერ გაუხსწორებდა ისე ბრჭყვინავდნენ მის ფრთები თუ გზაზე ვინმე შეხვდებოდათ უნდა გაქცეულიყვენ, თორემ გველები დაჰკბენდნენ, ან თვითონ გველეშაპი თავის საშინელი ღჯოლებით თავს გაუქყლელტდა, ან კიდევ სპილენძის ბრჭყალებით დაჰგლეჯდა, მაგრამ ყველაფერზე საშიში იყო გორგონის შეხედვა. დააცქერდებოდა იგი ვისმეს თუ არა ერთ წამს გაქვავდებოდა.

ამისთანა საშინელი საქმე დაავალა პოლიდექტმა საბრალო, უდანაშაულო, პერსეის.

როდესაც პერსეი დაფიქრდა, ყველაფერი მოისაზრა მგზავრობაზე—დაღონდა. როგორ მიუტანს გორგონის თავს, როდესაც მიუახლოვდება და შეხედავს თუ არა ქვათ იქცევა. პერსეის ადგოლას, რაც უნდა გამბედავი ვინმე ყოფილიყო ყველას შეეშინდებოდა. ჯერ მარტოკა მიახლოვება ამისთანა საშინელებასთან, რომელსაც თმები გველისა ჰქონდა, დიდრონი ეშვები და სპილენძის ბრჭყალები საშინელ რასმეს წარმოადგენდა, მერე ხომ არც უნდა შეეხედნა მისთვის. პერსეი რომ მისულიყო ახლოს, მოექნია კიდევ ხმალი და ერთი თვალითაც რომ შეეხედნა, ხომ სამუდამოთ გაქვავდებოდა. პერსეი თავ მოყვარე იყო, იმას იმედი ჰქონდა, რომ ბევრს საგმირო საქმეს ჩაიდენდა, ცხოვრებაც ბედნიერი მოელოდა და ეხლა ასე ადრე და სულ უბრალოთ უნდა გამოთხოვებოდა წუთის სოფელს.



პერსეი ძალიან დაღონდა, მაგრამ დედას არაფერი არ გაუმხილა, გამოეწყო ფარხმალით, კუნძულიდან სრუტე გაიარა და დედამიწაზე გაჩნდა, იქ ერთ მიყრუებულ ადგილას მიჯდა და მოჰყვა ტირილს.

უცბათ მოესმა ვილასიკ ხმა.

— პერსეი, რა დაგემართა?

გაოცდა პერსეი, იმას ეგონა მარტოა და ვილასიკ კაცი დაინახა, ამ კაცს ეტყობოდა, ვერაგობა, მაგრამ მასთან ცოცხალი ხსიათისა და ჰკვიანი იყო. წამოსასხამი მხრებზე ჰქონდა წამოგდებული, ქუდი ჯუნაური ეხურა და ხელში დაკლანკილი პატარა ჯოხი ეჭირა. პერსეის ძლიერ მოეწონა ეს უცნობი, მაგრამ ძლიერ შერცხვა მტირალი რომ დახვთა, მაშინვე მოიწმინდა ცრემლები და სთქვა:

— მე ერთი ფიქრი მაწუხებს; ჩემმა მეფემ დამავალა მძიმე საქმე და არ ვიცი როგორ აუსრულო.

— მომიყვი რაშია საქმე, ეგებ გიშველო, მე ბევრისთვის მიშველია, იქნება კიდევ იცი ვინცა ვარ, „მკვირცხლს“ მძახიან, მითხარი შენი ნაღველი, მოვიფიქროთ, როგორ გამოვაწყოთ საქმე.

პერსეი გამოცოცხლდა, იმან გადაწყვიტა მიენდოს „მკვირცხლს“, ამითი საქმე არ გაუფუტლებოდა და იქნება ახალ მეგობარს ეშველა რამე. პერსეიმ უამბო მეფე პოლიდექტის განძრახვა, თავის დანიშნულს უნდა მიართვას საჩუქრათ გველეშაპი გორგონის თავი—მედღუზა და ამ საქმის ასრულება მიანდო პერსეის. თვითონ ამას ქვათ გადაქცევის ეშინია და ვაი თუ მეფესაც ვერ აუსრულოს დავალება და დედაც დაუღუპონ.

„მკვირცხლმა“ ვერაგულათ გაიღიმა და უთხრა.

— სწორეთ ცოდვა ხარ, თუმცა შენიდან კარგი ქანდაკება გამოვიდოდა და ბევრი საუკუნოების განმავლობაში გასტანდი. სჯობია ორიოდე წელიწადი ცოცხალი იყვე, ვიდრე მრავალი საუკუნოები ქანდაკებათ.

— რა საკვირველია ათასს ეჯობინება! მერე საბრალო დედამ რომ შეიტყოს ჩემი უბედურება რა მოუვა.

— ყოჩაღათ იყავი, ცუდი არა დაგემართება რა, მე

გიშველი, ჩემი დაც დაგებმარება და საქმეს ადვილათ მოვწონ  
 ყობთ.

პერსიეი გამხნევედა და ჰკითხა,—შენი და ვინლა არი?

— ჩემი და ძალიან ჰკვიანი ვინმეა, მე იმასთან შედარე-  
 ბით არაფერს წარმოვადგენ, თუ ჩვენ ყველაფერში დაგვეთან-  
 ხმები გორგონისა აღარ შეგეშინდება. ყველაზე უწინ გაწმინ-  
 დე შენი ფარი ისე, რომ სარკესავით შეგეძლოს შიგ ჩახედვა.

პერსეის ძლიერ გაუკვირდა, იმას ეგონა რომ ფარია სა-  
 კირო გორგონის მოსაგერებლათ და არა სარკე. იმან იფიქ-  
 რა, რომ „მკვირცხლმა“ იმაზე უკეთ იცის და მოჰყვა ფარის  
 გალესვას. მალე მისი ფარი მთვარესავით კაშკაშებდა, „მკვირ-  
 ცხლმა“ დახედა და მოუწონა, მერე მოიხსნა პატარა დაკლაკ-  
 ნილი ხმალი გაუკეთა პერსეის და უთხრა, მხოლოდ ჩემი ხმა-  
 ლი გამოვადგება, ისეთი წმინდა პირი აქვს, რომ რკინას და  
 სპილენძს ისე გადასჭრის, როგორც მკრელი ნაჯახი ხის  
 წვრილ ტოტსა. აბა ეხლა წავიდეთ, ყველაზე უწინ უნდა  
 მოვძებნოთ სამი ბებერი, იმათგან შევიტყოთ, სად შეიძლება  
 მოვნახოთ ნიშვა.

ამან ძალიან გააკვირვა, თავი ველარ შეიმაგრა და ჰკითხა:

— ერთი მითხარით ვინ არიან ეგ ბებრები, მაგათზე მე  
 არა გამიგონია რა.

„მკვირცხლმა“ გაიცინა.

— იგინი უცნაური დედაკაცები არიან, სამს ერთი თვა-  
 ლი და ერთი კბილი აქვთ, იმათ მხოლოდ ვარსკვლავების  
 სინათლეზე დაინახავთ; არც მზეზე და არც მთვარეზე არა  
 ჩანან.

პერსიემ უთხრა:

— დროს ნუ დავჰკარგავთ, მაგრამ, ნეტავ რაში გამო-  
 ვადგებიან ეგ ბებრები? არა სჯობია, რომ პირდაპირ გორ-  
 გონის საქმერათ წავიდეთ?

— სულაც არა, გორგონის პოვნა ეგრე ადვილი არ  
 არი, ერთათ ერთი საშუალებაა, ჯერ ბებრები მოვძებნოთ,  
 მაშინ დარწმუნებული ვიქნებით იმაში, რომ გორგონებს  
 მივაგნევთ. აბა გავსწიოთ.

პერსეი დარწმუნდა, რომ მისი ახალი მეგობარი გამოც-  
 დილი იყო ყველაფერში და ამიტომ არაფერში არ ეწინააღ-



მდეგებოდა. პერსეი ძლივს ძლიობით მისდევდა. ფიქრობდა კიდევ—იქნება ფეხებზე ფრთები ასხიაო? გვერგვერდათ შესცქეროდა „მკვირცხლს“, თითქოს თავზე ორივე მხრივ ფრთები აქვსო, მაგრამ დააცქერდებოდა თუ არა უცნაური ქუდის მეტს ვერას შეამჩნევდა. „მკვირცხლს“ პატარა ჯოხი ისე შევლოდა, რომ პერსეი ვერ ეწეოდა. იმან შეამჩნია და უთხრა:—მგონია ეს ჯოხი შენ უფრო გესაქიროება, დაიჭი, თქვენ კუნძულზე ყველანი აგრე ნელა დად-ან? და გადასცა პერსეის ჯოხი.

პერსეიმ ქვეშ-ქვეშ გადახედა თავის თანამგზავრს და უთხრა,—მე არავის არ ჩამოვრჩებოდი, ჩემ ქალამნებს რომ ფრთები სხმოდა.

და აიღო თუარა ჯოხი მარდათ დაიწყო სიარული და „მკვირცხლთან“ ერთათ მიეჩქარებოდა. მხიარულათ ბაასობდენ, ბევრ უცნაურ ამბებს უამბობდა „მკვირცხლი“. პერსეი თანდათან რწმუნდებოდა მის ქყუაში და გამოცდილებაში, ყველაფერს დიდი ყურადღებით უსმენდა. მერე ჰკითხა:—სად არი შენი და, მალე ვნახავთ იმას?

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, ჩემი და სხვანაირი ხასიათისა არის, მას არ უყვარს ხუმრობა და ძალიან ფრთხილია, თავის დღეში არც იცინის, არც იღიმება, ცოტას ლაპარაკობს, იმას, რაც მხოლოდ აუცრლებელი საჭიროა, და არც უყვარს სისულელეების ვაგონება.

პერსეის შეეშინდა.

— მაშ მე იმასთან ვერ ვილაპარაკებ!

„მკვირცხლმა“ განაგრძო:

— ჩემი და ძალიან სწავლული ქალია, იმას შესწავლილი აქვს ყველა საგნები და ხელობები და ამიტომ ყველა უძახის მეცნიერს. უნდა გითხრა, რომ იმისი დამჯდარი ხასიათი სულ არ შეეფერება ჩემს მხიარულებას, პართალია გზაში იმასთან მოიწყენ, მაგრამ თავში ხშირათ მშვენიერი აზრები მოსდის, მისი რჩევა გამოგადგება გორგონის შეხვედრის დროს.

დაბინდდა. ჩვენი მგზავრები მიადგენ გავერანებულ უდაბნო ადგილს, წამ და უწუმ წააწყდებოდენ ბუჩქნარებს და ბაძანძვრებს; ადგილი ისე გაუვლელი იყო, თითქოს ადამიანის ფეხი არ მიჰკარებოდა. თან და თან ბნელდებოდა, პერ-

სეი შიშით აქეთ იქით გაიყურებოდა. იმან „მკვირცხლს“ ჰკითხა, კიდევ ბევრი გვაქვს გასაველელო?

— ჩუმათ, ხმას ნუ იღებ, ეხლა შეიძლება შევხვდეთ სამ ბებერს, ფრთხილათ იყავი არ შეგამჩნიონ; პირველათ შენ უნდა დაინახო ისინი, მართალია იმათ სამს ერთი თვალი აქვსთ, მაგრამ ჩვენზე ნაკლებათ არა ხედავენ.

„მკვირცხლმა“ აუხსნა თუ როგორ რიგ რიგათ ხმარობდენ ეს სამი ბებერი ერთ თვალს, ჯერ ერთი ბებერი გაიხედავდა, მერე ამოიღებდა და გადაცემდა მეორეს. ასე რომ როცა ერთი იცქირებოდა, ორი ბებრები ბრმები იყვნენ და სანამ ერთი მეორეს მიაწოდებდენ თვალს სამივე არას ჰხედავდენ. მართალია ბევრი უცნაური რამეა ქვეყანაზე, მაგრამ ამას არაფერი შეედა რებოდა და პერსეი ფიქრობდა, თითქოს „მკვირცხლი“ იმას დასცინის.

მაგრამ „მკვირცხლმა“ ასე უთხრა—ეხლა ნახავ მართალი ვარ თუ არა, დაუგდე ყური: სუუუ... უუ. აი ისინიც.

პერსეი გაფაციცებით იცქირებოდა.

ბოლოს დაინახა სამი ბებერი, მეტათ ბნელოდა. პერსეი ძლივს ძლიობით არჩევდა მათ.

მათი თეთრი გრძელი თმები მოსჩანდა, როცა უფრო ახლოს მივიდენ პერსეიმ დაინახა, რომ ორ ბებერს შუბლზე ცარიელი ადგილი ჰქონდა თვალისთვის. თვალი კი ისე ბრწყინავდა, როგორც ბრილიანტი. პერსეიმ იფიქრა, რომ ღამეც ისე დაინახავენ ეს ბებრები, როგორც ღლისით, მაგრამ სამივეს ეს ერთი თვალი ჰქონდათ.

ამ ბნელაში სამივე მშვენივრათ მოდიოდენ. იმას, რომელსაც თვალი ჰქონდა მოჰყავდა მეორები ხელით. ყმაწვილები ბურქებ ქვეშ დაიმალონ, პერსეის ეშინოდა წინა ბებერმა არ დამინახოსო, ის ისე აქეთ იქით იცქირებოდა. ბებრები შევიდნენ შიგ შუა გულ ტყეში და ერთმა უთხრა მეორეს.—დაო „საფთხურო“ გეყოფა, ეხლა მე მომე ეგ თვალი. მეორემ უპასუხა: დამაცა კიდევ ერთ წუთას, დაია „მოლანდება“ შეჩვენება, რომ ბურქებიდან ვილაც იყურება. დაია „მოლანდებამ“ წაიბუტბუტა, თუ რომ მართლა იჯდეს მერე რაა! მე შენზე ნაკლებათ არა ვხედავ, თვალი მარტო შენი ხომ არ არი, მომე მალე, მინდა მეც შევხედო მაგ ბურქს.



ამ დავაში გაერია მესამე დაც, „აგანგალა“. იმან უთხრა — ეხლა ჩემი რიგია და დები კი არ აძლევდენ თვალს, ბოლოს საფთხურმა ამოიღო თვალი და მიაწოდა დებს, — დაიკით, ნუ დავობთ, მე ბნელაშიაც მოვიცდი, გამომართვით ჩქარა, თორემ ისევ მე გავიკეთებ მაგ თვალს.

ორივე დებმა ხელები გაუწვდინეს, უნდოდათ გამოერთმიათ, მაგრამ ვერ ახერხებდენ. „მკვირცხლი“ ბუჩქებში იცინოდა და პერსეის ჩასჩურჩულა:

— რა კარგი შემთხვევა მოგვეცა, გამოსტაცე თვალი „საფთხურს“, სანამ დები ჩამოართმევდენ.

პერსეი ერთ წამს გადაეფლო ბუჩქებს და „საფთხურს“ თვალი გამოსტაცა.

პერსეის ხელში თვალი ეხლა უფრო ბრწყინავდა და თითქოს ესაყვედურებოდა კიდევ რათ ჩამივლდე ხელშიო.

ბებრებმა ვერ გაიგეს რაშიაც იყო საქმე. ეგონათ რომ ერთ-ერთს მათგანს ჩაუვარდა ხელში თვალი და დაიწყეს ხელ ახლათ დავა.

პერსეიმ ველარ მოითმინა და უთხრა:

— ჩემო ბებრებო, ნუ ჯავრობთ. მე გამოგართვით თვალი და ალტაცებაში მოვდივარ, რანაირათ ბრჭყვინავს, რა საოცრათ აშუქებს გარშემო!

სამივე მოხუცმა ერთბაშათ შეჰკივლეს. მათი კივილი მთელ არე მარეს მოელო.

— ჩვენი თვალი შენ წაიღე! შიშით მიმართეს პერსეის. — შენ ვინა ხარ გვითხარი, რალა ვქნათ, თვალი რომ აღარ გვექნება. რალას დავინახავთ. მოგვეცი თ ჩვენი თვალი! რას გვერჩით. ხომ სულ უსინათლონი ვიქნებით.

„მკვირცხლმა“ წაუჩურჩულა პერსეის:

— დაჰპირდი რომ თვალს დაუბრუნებ იმ შემთხვევაში, თუ მიკასწავლიან სადა ცხოვრობს ნიმფები, რომელთაც აქვთ ფრთოსანი ქოშები, გრძნეული თოფრა და უჩინმაჩინის ქული.

პერსეიმაც უთხრა ბებრებს:

— კეთილო ბებრებო, ნუ სწუხართ, ცუდს არაფერს შეგამთხვევთ. თვალს ახლავე დაგიბრუნებთ, მხოლოთ მიმასწავლეთ ნიმფების ბინა.

„საფთხურმა“ პირველათ ამოიღო ხმა:

— ნიმფებიო? რას ამბობთ! დებო, არ იცით რომელ ნიმფებზე ლაპარაკობს. ამბობენ სხვა და სხვა ჯურისა არიანო. ზოგი მონადირენი, ზოგი ტყისა, ზოგი წყლისა. იმათი არაფერი არა ვიციოთ რა. ჩვენ საწყე ლი ბებრები ვართ, ბნელაში დავხეტიალებთ. ქვეყანაზე სამივეს მხოლოდ ერთად ერთი თვალი გვაბადია და ისიც უსამართლოთ წაგვართვი. შენ დღეგრძელობას დაგვიბრუნე ეგ თვალი.

ბებრები ცდილობდნენ ეპოვათ პერსეი. შლიდნენ თავიანთ გრძელ ხელებს, მაგრამ ვერ დაეჭირათ.

პერსეიმ განუყოფა:

— პატივცემულნო ბებრებო, ტყუილათ ნუ ცდილობთ, არ მოგცემთ თქვენ საუნჯეს, სანამ ნიმფების ბინას არ გაამხელთ. მე იმ ნიმფებზე გელაპარაკებით, რომელთაც აქვთ ფრთოსანი ქოშები, გრძნეული თოფრა და კიდევ... არ ვიცი რა? მარა მოვიგონე... უჩინ-მაჩინის ქული.

სამივე ბებრმა ერთ ხმათ შესძახეს:

— ვაი დედას! ძვირფასო დებო! რას ამბობს ეს კაცი. ფრთოსანი ქოშებიო... მაგან რომ ქუსლებზე მაგვარი ქოშები მიიბას სულ ყირამალა ივლის. ან უჩინმაჩინის ქული სად იშოვება? მერე ისეთი, რომ შიგ დაიმალოს, მერე რაღაც გრძნეულ თოფრაკზე ლაპარაკობს. სად გაგონილა ამისთანა ამბავი! რას არ მოიგონებს ეს კაცი, შენ ხომ ჩვენსავით ბრმა არა ხარ და თვითონ მოსძებნე რაც გინდა. ჩვენ რა შეგვიძლიან, ერთი საწყალი ბებრები ვართ.

პერსეი თითქოს დარწმუნდა, რომ მათ არაფერი არ იციან, შეიბრალა ისინი და უნდოდა კიდევ დაებრუნებინა მათი თვალი, მაგრამ «მკვირცხლმა» შეაყენა.

— ნუ სულელობ! თუ არ ამ ბებრებმა სხვამ არაფერ არ იცის ნიმფების ბინა. სხვა გზით ვერ ჩაიგდებ ხელში გორგონის თავს. თუ არ მისცემ თვალს საქმე კარგათ გამოიწყობა.

მართალი გამოდგა. ბებრები აფასებდნენ თავიანთ თვალს. ეს ხომ სამი წყვილი თვალის მაგივრობას უწევდა. საქმეს სხვა ფრივ ვერაფერს უშველიდნენ და თავიანთი საიდუმლო გაუმხილეს პერსეის.

პერსეიმ დაუბრუნა წართმეული თვალი, მადლობა გადუხადა და გამოფთხოვა.



ქართული  
ლიტერატურის  
მემორიალი

პერსეი და „მკვირცხლი“ გაემართენ საჩქაროთ ნიმიფების მოსანახათ. ბებრებს კარგათ ესწავლებინათ გზა და მალე მიაგნეს ისინი, ნიმიფები ახალგაზრდები, ლამაზები იყვნენ. მათ თვალებში სიმშვიდე გამოიხატებოდა და ნათელი გამოსჭვრეტდა. „მკვირცხლმა“ სთხოვა თუ არა ძვირფასი ნივთები მათ მაშინვე მისცეს. თავდაპირველათ გადასცეს ტყავის პატარა თოფრა, ზედ გამოყვანილი იყო უცნაური სახეები. მერე მისცეს ერთი წყვილი ფრთოსანი ქოშები.

„მკვირცხლმა“ გადასცა ესენი პერსეის.

— აბა, ჩაიცვი! გზაში აღარასდროს აღარ დაილაღები.

პერსეიმ ცალი ქოში ძირს დადო და მეორეში უნდა ჩაედგა ფეხი. უცბათ იმ ქოშმა ძირს რომ იდო გაშალა ფრთები გასაფრენათ. კიდევ კარგი, რომ „მკვირცხლმა“ მოასწრო დაქერა. მან ქოში გადასცა პერსეის და უთხრა:

— სიფრთხილე გიქირს! შენი ფრთოსანი ქოშები ყველა ფრინველებს დააფთხოვს.

პერსეიმ ჩაიცვა თუ არა ქოშები, უცებ მალლა აფრინდა. ძლივ ჩამოვიდა ძირს. „მკვირცხლმა“ გადინახარა და უთხრა ამხანაგს.—ნუ ჩქარობ, უჩინ-მაჩინის ქუდიც გამოართვა.

ამ დროს უცნაური ამბავი მოხდა, როგორც კი ერთერთმა ნიმიფმა დახურა პერსეის ლამაზი შავი ფრთიანი ქუდი, ყმაწვილი უცბათ გაქრა ფარხმალით. მშვენიერი ყმაწვილის მაგივრათ ცარიელი ადგილი-ლა იყო, ნამდვილი სასწაული მოხდა!

„მკვირცხლმა“ იკითხა:—პერსეი, სადა ხარ?

პაერში მოისმა ხმა:—აქა ვარ, საცა ვიყავ. განა არა მხედავ?

— მართლა და არა გხედავ, უჩინ-მაჩინის ქუდმა დაგმალა. მაშ იმედია ვერც გველეშაპი გორგონი დაგინახავს. წამომყევ, ქოშების ხმარებას მე გასწავლი.

„მკვირცხლის“ ქოშებმა გაშალეს ფრთები და ის ნელა-ნელა აფრინდა მალლა, პერსეიც გაჰყვა. ამას ძალიან მოსწონდა ფრინველისავით ფრენა. ლამე იყო, პერსეიმ მალლა აიხედა. ცაზე ვერცხლივით მთვარე კაშკაშებდა, პერსეის ძალიან უნდოდა იმაზე დაბინავება. მერე ქვემოთ ჩაიხედა, დედა-მიწა მშვენიერებას წარმოადგენდა, ერთ მხარეს ზღვა ბო-ბოქრობდა, მეორე მხარეს ჩქარი მდინარე მიექანებოდა, აქეთ

ამართული იყო თოვლიანი მთები, იქით გაშლილი ველ-მინდორი. ზოგან მოჩანდა გაუვალი ტყეები და დიდრონი ქალაქები, აი ის კუნძული, სადაც ცხოვრობს დედა მისი დანაია. ყველაფერი განათებული იყო მთვარის შუქით. რა მშვენიერობა იყო! ზოგჯერ ღრუბლები მთვარის შუქზე იშლებოდა, და შორიდან ისე მოჩანდა, როგორც შევერცხლილი მატყლი, ისეთი სიჩქარით მოფრინავდა, თითქოს ეს არის მოგვიანლოვდებოდა. პერსეის მოეჩვენა, რომ ვიღაც მის გვერდით მოფრინავს, გრძნობდა, რომ მის სახეს კიდევ ვიღაც შეეხო და ჰკითხა:

— ნეტავ ვინ მოფრინავს ჩემ გვერდით?

— ეგ ჩემი დაა, — უთხრა «მკვირცხლიმ», მე ხომ გითხარი მოგვეშველება-მეთქი, უიმისოთ ვერას გავაწყოვ-თქო. ვერ წარმოიდგენ რა ჰქვიანია და ძვირფასი თვალთმხედველობის პატრონია. ის მშვენიერათ გხედავს, თუმცა უჩინაჩინის ქული გახურავს, ის უმაღლ შებამჩნევს გორგონს, აბა ნახე თუ არა!

ისინი გადაფრინდნ ოკეანეზე. იმათ ქვეშ შხუოდნ, ქაფქაფი გაჰქონდათ საშინელ ზვირთებს, რომელნიც მალამალა აღიოდნ, მერე ხმაურობით და ღრიალით კლდეებს ეხეთქებოდნ. ამათ კი ესმოდათ მხოლოთ მსუბუქი და ნაზი წყლის ჩუხჩუხი, თითქოს ყმაწვილის ოდნავ სუნთქვა მოისმისო. უცბათ მოისმა ქალის ნაზი ხმა.

— პერსეი, შეხედე გორგონს თავის გველ-წიწილებით.

— სადაა, მე ვერავის ვხედავ, უთხრა პერსეიმ.

— შეხედე აი იმ კუნძულზე, ჩვენ ქვეშ, ქვა რომ მდინარეში დაუშინოთ, მოხვდება.

«მკვირცხლი» ალაპარაკდა.

— მე ხომ გითხარი, რომ პირველათ ეგ დაინახავს გველეშაპს.

პერსეი დააკვირდა და მართლაც დაინახა კუნძული მოშორებით. კუნძული სამი მხრით თეთრი ზღვის ქაფში იყო გახვეული, მხოლოთ ერთი მხრით თეთრი ქვიშა იყო. პერსეი ძირს დაეშვა და ბოლოს დაინახა ხევში ჩაღრმავებული ადგილი, საიდანაც მოჩანდა ცეცხლი, მხოლოთ მაშინ გაარჩია გველეშაპი თავისი გველ წიწილებით. ისინი, ეტყობოდათ



ღრმა ძილში იყვენ, ზღვის ტალღების უხუილს მიეძინებინა, იმათ ფრთები და ქერქი მთვარეზე ლაპლაპებდენ. ბრწყალეობით სწვდებოდენ ხეებს, თითქოს ძილშიაც უნდოდათ მსხვერპლის ხელში ჩაგდება. ზოგჯერ ერთი გველთაგანი გაიზმორებოდა გამოყოფდა გესლიან ენას, დაიწყებდა სისინს და მერე ისევ მიიძინებდა.

ესენი გვანდენ საშინელ დიდ მწერებს, ბუზანკალებს, რომელთაც ფოლადის ფრთები ასხიათ და ათი ათასჯერ უფრო დიდები იყვენ, ვიდრე ბუზანკალები და მიეგვანებოდენ ალ-ქაჯებს, კარგი კიდეც, რომ სახე არ უჩანდათ, თორემ შეიძლებოდა თუ შეხედავდენ პერსეის ჩამოვარდებოდა და ქვათ გადაიქცეოდა.

„მკვირცხლმა“ ჩასჩურჩულა პერსეის, — მოსჭერი თავები გველებს, სანამ ყველას სძინავთ.

— რომელია „მედუზა“ ყველანი ერთნაირები არიან.

პერსეის სხვა გველ-წიწილებისთვის რომ მოეჭრა თავი არაფერი გამოვიდოდა.

პერსეის ხელ ახლათ შემოესმა ჩურჩული.

— ფრთხილათ! უყურე ერთ ერთი გორგონი გაინძრა, ეხლავე წამოიწეგს, სწორეთ ეგ უნდა მოჰკლა, ნუ დააქცერდები, თორემ გაქვავდები, შენ შუბში, როგორც სარკეში მოჩანს ეგ გორგონი.

პერსეი ეხლა კი მიხვდა, თუ რატომ გააღესინა „მკვირცხლმა“ შუბი, იმაში დაინახავდა მშვენივრათ გორგონებს, საშინელი სანახავი იყო, გველ-წიწილები ერთმანერთს ახლოს ვერ ეკვრებოდენ, ისინი ცალკე იჭიმებოდენ გორგონის შუბლთან. მედუზა-გორგონი თვალს არ ახელდა, ჯერ კიდეც ეძინა, მაგრამ ეტყობოდა რაღაც მოუსვენრობა, თითქოს ცულ სიზმარში იყო, კბილებს აკრაქუნებდა და ბრწყალეობით მიწას ბუჯღნიდა. სხვა გველის წიწილებზედაც ცუდი გავლენა მოეხდინა, ისინი იტანჯებოდენ, იკლაკნებოდენ, თუმცა თვალებს არ ახელდენ. „მკვირცხლი“ მოუთმენლათ უჩურჩულებდა პერსეის:

— ჩქარა, ჩქარა დაეცი მაგ გველეშაპს.

მეორე კი ნაზათ ეუბნებოდა.

— ნუ აჩქარდები, კარგათ ჩაიხედე შუბში, არ აქცედეს, მიზანს არ გადუხვით.

პერსეი დიდი სიფრთხილით დაეშვა ძირს, თან შუბში იყურებოდა. რაც უფრო უახლოვდებოდა იმათ უფრო საშინელებას ხედავდა, ბოლოს პერსეი მიუახლოვდა მედუზა-გორგონს, მოუღერა ხმალი, ამღროს ყველა გველის წიწილებმა თავი წამოაჭყვეს. გველეშაპმა გორგონმა თვალები გაახილა, მაგრამ გვიანდა იყო, ხმალი ელვასავით დაეშვა და საშინელი მედუზა-გორგონის თავი მიწაზე გაგორდა,

„მკვირცხლმა ალტაცებით შეაყვირა:

— ყოჩაღ პერსეი, ყოჩაღ! აბა ეხლა დამალე ეს თავი შენ გრძნეულ თოფრაში.

პერსეის კისერზე ქონდა ჩამოკიდებული თოფრა. ეს ძალიან პატარა იყო, მაგრამ უცბათ გადიდდა და გორგონის თავი მოთავსდა. პერსეის გაუკვირდა, გორგონის გველები სისინებდნენ, იკლავებოდნენ, მაგრამ ისინიც კარგათ დაიტია თოფრამ... ჰაერში მოისმა კიდეც ხმა:

— შენი საქმე ხომ გაათავე, ეხლა საჩქაროთ გაიქეცი, თავს უშველე, თორემ შურს იძიებენ სხვა გორგონები.

პერსეი ფრთხილათ იყო, მაგრამ ხმაურობა მიანიც გაისმა და გააღვიძა სხვა ორი გორგონები, ისინი წამოაჯდნენ, დაიწყეს თვალების სრესა სპილენძის თითებით. გველები შფოთავდნენ, ყალბზე ღგებოდნენ, ჯერ არ იცოდნენ რა მოხდა, მაგრამ მალე მიხვდნენ რაშია იყო საქმე და საშინლათ ასისინდნენ. გორგონებმა კბილები დააკრაჭუნეს, ფრთები გაშალეს და გამოუდგნენ პერსეის. ესენი ძალოვანათ აპობდნენ ფრთებით ჰაერს. ესინი გააფთრებული აქეთ იქით იყურებოდნენ, თვალებიდან ნაპერწკლებს ჰყრიდნენ და იმედი ქონდათ, რომ მტერს დღუპავდნენ. პერსეის რომ შეეხედა მათთვის და იმათ ბრწყალეში ჩავარდნოდა, თავის საყვარელი დედის ნახვას ველარ ეღირსებოდა. მაგრამ პერსეი გორგონებს არ უყურებდა, უჩინმაჩინის ქული მალავდა, თავისი გრძნეული ქოშებით ისე მალლა, მალლა მიფრინავდა, რომ საძაგელი გველეშაპის ხმაც კი არ ესმოდა. ის სერიფის კუნძულისკენ მიფრინავდა, სადაც თავის საყვარელი დედა ეგულებოდა.

ზღაპარი მალე ითქმის, საქმე ადვილათ არ თავდება,

პერსეის გამირობა ამითი არ გათავდა. დაბრუნების დროს გზაზე მშვენიერი ასული სიკვდილს გადაარჩინა, და გორგონის თავის შეხედვით ერთი დიდი დევი კლდეთ აქცია.

ბოლოს პერსეი დაბრუნდა თავის კუნძულზე, მაგრამ დედა იქ აღარ დაუხვდა. მეფეს ისე შეეწუხებინა, რომ ის გადამალულიყო და მოხუც მღვდელთან, ეკლესიაში თავი შეეფარებინა.

პერსეი მივიდა სასახლეში, მეფესთან შეიყვანეს, მეფე ცივად შეხვდა, პერსეის დაბრუნება არაფრათ ექაშნიკა, მაგრამ ცდილობდა არ შეემჩნევინა და ჰკითხა: შეასრულა თუ არა მეფის დავალება.

— მომიტანე თუ არა მედუზა-გორგონის თავი გველის წიწილებით, ხომ იცი ჩემ დანიშნულს უნდა მივართვა ეგ საჩუქარი.

პერსეიმ დინჯათ უპასუხა.

— თქვენო უდიდებულესობავ, გორგონის თავი მოგართვით.

— მართლა? მიჩვენე ჩქარა, კარგი სანახავი იქნება, მაგაზე საოცარ რამეებს მოგვითხრობდენ!

— მართალია, მაგას თვალს ვერ მოაშორებთ, თქვენო უდიდებულესობავ. კარგი იქნება სადღესასწაულოთ ხალხს თავი მოუყაროთ და უჩვენოთ ეგ სასწაული.

მეფემ იცოდა მისი ქვეშევრდომი ზანტები იყვენ და უყვარდათ დროს გატარება. და მოიწონა პერსეის რჩევა, დაგზავნა ყველგან კაცები და ბუკით და ნაღარით ხალხი მაგროვა სასახლეში. ზარმაცი და უსაქმონი დანიშნულ დღეს მოგროვდენ. ყველას უნდოდა შეეტყო პერსეის რა დაემართა. სახლებში მხოლოთ ცოტა მშრომელი ხალხი დარჩა. ყველა ცდილობდა აივანთან ახლოს დამდგარიყო, სადაც პერსეი იყო ტომრით ხელში, მეფე აივნის პირდაპირ მოედანზე დაჯდა, მის გარშემო იყვენ ბიროტი და ორპირი კარის კაცნი. ყველა შურით უყურებდა გამარჯვებულ პერსეის.

ხალხი გაშმაგებული ყვიროდა:

თავი, მედუზას თავი გველის წიწილებით.

პერსეის შეებრალა ხალხი და თქვა:

— თქვენო უდიდებულესობავ, და პატივცემულო მოქალაქენო, ნება მიბოძეთ გაჩვენოთ გორგონის თავი.

ხალხი არ იშლიდა ისევ ყვიროდა:

— ეგ მატყუარა, ეგ საძაგელი დაგვცინის, მაგას არ მოუტანია გორგონის თავი, უბრძანეთ ეხლავე გვაჩვენოს, თორემ ჩვენ ვიცით და მაგან.

მეფის კარის კაცი შფოთავდენ და მეფეს ეუბნებოდენ: — პერსეი გვალაატობს და შეურაცყოფას აყენებს მეფეს.

პოლიდექტიმ უბრძანა პერსეის, რომ ხალხის ნება აასრულოს.

პერსეიმ ამოიოხრა.

პოლიდექტიმ ბრძანა: შენ დაგსჯი სიკვდილით.

პერსეიმ დაიყვირა:

— აი, უყურეთ!

იმან ასწია მალლა საშინელი თავი და დანახვა ხალხს. ბოროტი მეფე, უღმრთო კარის კაცი და საძაგელი ქვეშევრდომნი ყველანი დაიღუპენ, ისე გაშეშდენ, რომ ვერც კი მოასწრეს თვალების დახუჭვა.

პერსეიმ შეინახა თავისი საშიში განძ-გრძნეულ თოფრაში და გაექანა თავის დედასთან, სათქმელათ, რომ დღეის შემდეგ მას აღარაფერი საფრთხე აღარ მოელოის სერიფის კუნძულზე.





ზინა ჯინა

ერკონული  
ზინა ჯინა



მატარა მკითხველებო, დასტკერდით ამ სურათს და დამიწერეთ ამაზე  
მატარა ამაზე. საუკეთესო ამაზე, რომელიც დაიბეჭდება ჟურნალ  
„ჭეჭილი“ მის დამწერს ერგება „სახუქრათ“ თამარ დედოფლის  
სურათი.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

ყოველ-დღიური სალიტერატურო, საეკონომიო და საპოლი-  
ტიკო გაზეთი

## „საქართველო“

ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 15 მან.  
ნახევარი წლით 9 მან., სამი თვით 5 მან. ფული ნაწილნა-  
წილ შემოიტანება. კანტორა ღია: დილით 9—3 ს. საღამოს  
5—7-მდე.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის  
კანტორაში ქ. ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4.  
Тифлисъ, Московская ул. домъ Габаева № 4.

რედაქტორი სანდრო შანშიაშვილი.

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## სასახლსო ფურცელი

გამოვა იმავე შროგანაშით, როგორც 1916 წელს გამოდიოდა.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წელიწადში 15 მან.,  
ნახევარი წლით 8 მან. სამი თვით 5 მან. ფულის შემოტანა  
შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

კანტორა ღიაა დილის 9 საათ.—3 საათ. საღამოს 5—7  
საათამდის.

რედაქციის მისამართი: სასახლის ქუჩა, № 6. Тифлисъ, груз.  
газ. „САХАЛХО ПУРЦЕЛИ“, почтовый ящикъ 190.

# ჯეჯილი

საემანუილო ნახატებიანი ჟურნალი

რუსა ბარკა ნალინალი.

ჟეჯილი დაარსებულა 1890 წელს.

გამოვა 1917 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი  
განყოფილება, ზატარებისათვის და მრწრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება

**4** მან., ქალაქ კარეთ (გავზავნით) **5** მან.

ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კან.

**ფასი რადამსიას არ მოუმატავია**

ბელის მოწერა მიიღება: თბილისში — «ჯეჯილის» რედაქციაში,  
(არტილერიის ქუჩა, № 5.)

ფოსტის აღრესი: Вь Тифлись вь Ред. Грузинскаго дѣтскаго  
журнала „Джеджили“.